წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

თამარ გიგიაძე

პრაქტიკის კვლევა : **„როგორ გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს გააზრებული კითხვის უნარ- ჩვევები დაწყებით საფეხურზე“**-ანგარიში .

2018/2019 სასწავლო წელი

სარჩევი:

1. შესავალი: 3
2. საკვლევი თემის აქტუალურობა: 3
3. პრობლემის ანალიზი: 8
4. კვლევის მიზანი: 11
5. საკვლევი კითხვები 11
6. სამიზნე ჯგუფი: 12
7. ლიტერატურის მიმოხილვა 12
8. კვლევის მეთოდები: 29
9. მონაცემთა ანალიზი: 32
10. ძირითადი მიგნებები: 42
11. ინტერვენციები: 43
12. ინტერვენციის შეფასება: 46
13. დასკვნა: 51
14. რეკომენდაციები: 52
15. გამოყენებული ლიტერატურა: 54
16. რეფლექსია: 55
17. დანართები: 59

შესავალი:

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლის თამარ გიგიაძის მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანია პირველ კლასის მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების ნაკლებად ფლობის მიზეზების დადგენა.

კვლევა მიმდინარეობდა 2018-2019 სასწავლო წელს. უპირველეს ყოვლისა ვიდრე კვლევის ანგარიშს შევქმნიდი გავეცანი საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას, დაკვირვების ფონზე მოვახდინე პრობლემის იდენტიფიცირება. განვახორციელე კვლევის მეთოდები, შევიმუშავე და პრაქტიკაში გავატარე ინტერვენციები, შევაფასე მათი მდგრადობა, რომლის საფუძველზე შევიმუშავე პრაქტიკული რეკომენდაციები, შევხვდი ჩემს წარმატებულ მასწავლებლებს, ვღებულობდი მისგან რჩევებს, მრავალწლიანმა პრაქტიკულმა მუშაობამ დამანახვა ამ საკითხის აქტუალობა, წლების მანძილზე შავ ლაქად მოსდევს გაგება-გააზრების პრობლემა დაწყებით კლასებში.

დასასრულს მოვახდინე შეხვედრა კოლეგებთან და გავუზიარე კვლევის შედეგები.

კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები.

საკვლევი თემის აქტუალურობა:

თემა აქტუალურია იმიტომ, რომ წიგნიერება თანამედროვე მსოფლიოს საკვანძო საკითხია. ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ, კითხვის უნარია. წიგნიერება სწავლის საფუძველია. განმარტებით ლექსიკონს თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ **„წიგნიერება ეწოდება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ენის ეფექტურ გამოყენებას სწავლისა და კომუნიკაციის მიზნით როგორც სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.“**

სწორედ ამიტომაც რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მოსწავლეთა წიგნიერების განვითარების ხელშეწყობაა. ამასვე ადასტურებს **ეროვნული სასწავლო გეგმა(,I პუნქტი, წიგნიერება),** რომლის მიხედვით, წიგნიერება არის: **„ კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეების და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს.“** კითხვის საბაზო უნარის ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში, სასკოლო პერიოდის პირველივე ეტაპზე ხდება და ის ხელს უწყობს იმ სააზროვნო პროცესების განვითარებას, რომლებიც ეფექტური სწავლების და სწავლის წინაპირობაა საშუალო განათლების მომდევნო საფეხურებზე.

სწავლების დაწყებითი საფეხური მოსწავლეებში კითხვის უნარის განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს. სწორედ ამ პერიოდიდან უნდა გადაიდგას პირველი ნაბიჯები მოსწავლის გააზრებულ მკითხველად ჩამოყალიბებისათვის.

სხვადასხვა ჟანრის ტექსტებიდან რაიმეს დასასწავლად თუ ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, რომ მკითხველს ჰქონდეს უნარი, გააზრებულად წაიკითხოს ტექსტი და დაიმახსოვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია. რაც უფრო მაღალ კლასში გადადის მოსწავლე, მით უფრო მეტად სჭირდება მას ამ უნარის გამოყენება, ამიტომაც სწორედ დაწყებით კლასებში უნდა მოხდეს მისი გამომუშავება.

კითხვის უნარის განვითარება, წაკითხულის გაგება-გააზრება ადრეული ასაკიდან იწყება და მისი საბოლოო ჩამოყალიბებისათვის საკმაოდ დიდი დროა საჭირო. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ ზრუნავენ მოსწავლეთა წიგნიერებაზე სხვადასხვა ქვეყნებში, რას და როგორ კითხულობენ, როგორ ესმით რასაც კითხულობენ, რა უწყობს ხელს წაკითხულის გაგება-გააზრებას და, პირიქით, რა აფერხებს ამა თუ იმ ქვეყანაში სწავლისა და სწავლების პროცესს და როგორია ქართველი ბავშვების მომზადების დონე ამ საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიოს იმ ქვეყნების თანატოლებთან მიმართებაში, რომლებიც **PIRLS** -ის კვლევაში არიან ჩართულები. საქართველომ **PIRLS** - ში 2006-2011 წლებში მიიღო მონაწილეობა.

ქართველ ბავშვებს მხატვრული ტექსტების გააზრებაში უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ (სკალირებული საშუალო- 478), ვიდრე საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში (სკალირებული საშუალო- 467), თუმცა ორივე შემთხვევაში ეს შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება **PIRLS** - ის საერთაშორისო სკალირებულ საშუალოს.



2011წლის კვლევამ აჩვენა, რომ 2006 წელთან შედარებით, წიგნიერებაში ქართველი მოსწავლეების მიღწევები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 17ქულით გაუმჯობესდა. წელს წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში 60-მდე ქვეყანა მონაწილეობს.

თუმცა თანამედროვე ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღების შემდეგ მოლოდინი იყო, რომ ეს პრობლემა უნდა მოგვარებულიყო, რადგან სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული გახდა, გადახალისდა და დაფინანსდა სწავლების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის ცენტრში მოსწავლე მოექცა (**TIMSS 2011**), რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მოთხოვნა გახდა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება, რომელიც თავის დროზე

ბენჯამენ ბლუმმა და მისმა კოლეგებმა ტაქსონომიის სახით შეიმუშავეს და რომელშიც კატეგორიები იერარქიებად, სირთულის მიხედვით დაყვეს.

თემა აქტუალურია იმიტომ ,რომ **ე. ს. გ. -ს** ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ასევე, მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული დიფერენცირებული დავალებების შეთავაზება. მიუხედავად ამისა, საკითხი მაინც წარმოადგენს სწავლებისთვის პრობლემას, რასაც ადასტურებს, თუნდაც, ეროვნული გამოცდების შედეგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ამიტომ ეს საკითხები მუდმივად განიხილება სხვადასხვა შეკრებებსა და პროფესიულ შეხვედრებზე.

თემა აქტუალურია ,რადგან დღეს ქვეყანას სჭირდება კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები, რისთვისაც აუცილებელია წიგნიერი თაობების აღზრდა და მთავარი, ამ საკითხის დადებითად გადაჭრა სასარგებლო იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისა და მშობლებისათვის. რადგან, მოსწავლემ პირველ რიგში, წაკითხულით უნდა მიიღოს ლიტერატურული გამოცდილება, ინფორმაცია, სიამოვნება კითხვის პროცესით და გამოიყენოს წაკითხული, მოსმენილი და ნანახი მასალა საჭიროებისამებრ.

თემა აქტუალურია იმიტომ, რომ სხვადასხვა სახით მიწოდებული ინფორმაცის გააზრება გულისხმობს დასკვნების გამოტანას, ძირითადი არსის მიგნებას, აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციას საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე და მხატვრული ხერხების გააზრებას. მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისთვის წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავება უნდა იყოს ამოსავალი წერტილი, რადგან ის თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, მათი საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით, რაც მასწავლებლებს მისცემს შესაძლებლობას, იყოს თავისუფალი აქტივობებისა და რესურსების შერჩევის მომენტში, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო საშუალებები, მათ შორის ელექტრონული რესურსები ისე, რომ თითოეული გამოყენებული მასალა შეადგენდეს გაკვეთილის ორგანულ ნაწილს, რაც მასწავლებლებს ხდის მოტივირებულს და ზრდის როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიულად.

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება დ/კლასებში დაეხმარება სხვა საგნის პედაგოგებსაც, რადგან, მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში, შეძლებენ გარკვეული თემის ირგვლივ მსჯელობას, საკუთარი აზრის დასაბუთებას.

მშობლებისთვის ასეთი მიდგომებით სწავლება აადვილებს მათ დამოკიდებულებას სწავლების პროცესის მიმართ. მათი ჩართულობის შემდეგ, ისინიც ცდილობენ მსგავსად მიუდგენენ შვილების სწავლების საკითხს. დაანახონ ტექსტის მთავარი აზრი, ყურადღება გაამახვილებინოს ძირითად და მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე, მათ დადებით და უარყოფით თვისებებზე, გამოთქვან ვარაუდები და გამოატანინონ დასკვნა. ასეთი ჩართულობით მშობლები კმაყოფილები და მოტივირებულები რჩებიან.

თემა აქტუალურია, რადგან კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარებას; ამასთანავე, ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, მასში სასურველი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, კრიტიკული კითხვა, გრამატიკული და კონტექსტური მონაცემების გამოყენება ტექსტის ღრმად წვდომის მიზნით; ტექსტების სწრაფი და დიფერენცირებული კითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მონაცემთა ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

თემის აქტუალობაა ის ,რომ წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების ფლობა, ზოგადად, ზრდის წიგნის კითხვისადმი დამოკიდებულებას, მოსწავლეებს უვითარდებათ სწრაფი, გააზრებული კითხვისა და კრიტიკული აზროვნების უნარები, რაც ნებისმიერ, პროცესში ჩართულ მხარეს უმაღლებს მოტივაციას და ჩართულობის ხარისხს, რაც აუცილებელი პირობაა ნებისმიერი მიზნის განსახორციელებლად. ყველაფერი ეს 21-ე საუკუნის გამოძახილია. ამიტომ ვთვლი, რომ **ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, საკითხი მეტად აქტუალურია.**

პრობლემის ანალიზი:

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში მოხდა საკვლევი პრობლემის გამოკვეთა. დაწყებით კლასებში სწავლების ხარისხი არ არის მაღალი, რაზეც მეტყველებს მისი წიგნიერების დონე, ასევე დაკვირვებები მოსწავლეებზე, გამოვლინდა კითხვის ტექნიკის, გააზრებული კითხვის, მეტყველებისა და წერის კულტურის დაბალი დონე მიმდინარე სამუშაოებიდან გამომდინარე. პედაგოგიურმა პრაქტიკამ დამანახა საკვლევი თემის აქტუალობა. სწავლების პროცესში იკვეთება ,რომ ბავშვები არ არიან გაბედულები, აკლიათ თავდაჯერებულობა, უჭირთ თანამშრომლობით პოზიციაში გადასვლა . არიან პასიური მსმენელები, არ შეუძლიათ სათქმელის გასაგებად გამოხატვა. ვერ აკავშირებენ ერთმანეთთან ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტულ ინფორმაციასთან; ვერ ახერხებენ მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ემოციური მდგომარეობის დანახვას, წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატოს პირადი დამოკიდებულება, არ შეუძლია დასკვნების გაკეთება ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე /თემებზე(სიზარმაცე ცუდია; უნდა იყო მეგობრული), უჭირთ ერთმანეთთან დააკავშირონ ტექსტში მოცემული კონკრეტული ინფორმაცია და ილუსტრაცია; პერსონაჟის საქციელის შეფასება (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილია და ა. შ.)არ შეუძლიათ ტექსტის სხვადასხვა ნაწილებიდან დასკვნების გამოტანა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება , ტექსტის სიღრმისეული წვდომა.

წიგნიერების დაბალი დონე გამოიწვია კომპიუტერის ჩანაცვლებამ. კომპიუტერმა გამოიწვია ბავშვების გაუცხოება წიგნთან, ლექსიკური მარაგის სიმწირე, მეტყველების დაბალი კულტურა, რამაც თავისთავად წარმოშვა სირთულეები მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებაში.

სადამრიგებლო საათზე ვუკითხავდი/კითხულობდნენ ტექსტს, შემდეგ კი ვცდილობდი მოეხდინათ ანალიზი ,ემსჯელათ წაკითხულის ირგვლივ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ წაკითხულის გააზრებას, საკუთარი აზრის დასაბუთებას ,პერსონაჟთა შედარებით დახასიათებას. ვიყენებდი კოგნიტური სქემები ,მაგრამ პრობლემა მაინც პრობლემად რჩებოდა.

მოსწავლეთა წიგნიერებაზე ზრუნვა საშუალებას იძლევა სწავლების საწყის ეტაპზე შევაფასოთ მოსწავლეთა კითხვის , წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი და ის კონტექსტი, რომელშიც მიმდინარეობს უნარების განვითარება (ოჯახი, სკოლა, რესურსი, სწავლების მეთოდოლოგია და ა. შ.) საბაზო უნარის ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში, სასკოლო პერიოდის პირველ ეტაპზე ხდება და ის ხელს უწყობს იმ სააზროვნო პროცესების განვითარებას, რომელიც ეფექტური სწავლისა და სწავლების წინაპირობაა საშუალო განათლების მომდევნო საფეხურზე. დაწყებით კლასებში მოსწავლე ეუფლება კითხვის ტექნიკას , ის სწავლობს კითხვას და შემდეგ კითხულობს იმისათვის ,რომ ისწავლოს. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული.

გარდავქმნათ და გავაუმჯობესოთ კითხვის წაკითხულის გაგება -გააზრების პროცესები, რითაც ხელს შევუწყობთ, ერთ მხრივ, სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საშუალო განათლების მომდევნო საფეხურებზე და, მეორე მხრივ დავეხმაროთ მოზარდს სოციალიზაციასა და პიროვნულ განვითარებაში.

პრობლემიდან გამომდინარე, კვლევის მიზნით ვეცადე გამომეყენებინა დიაგნოსტიკური ტესტები, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა წარმატება-წარუმატებლობის გაგება და მათი მიზეზების პოვნა, გამერკვია რამდენად კარგად ფლობენ ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებს, ამავე დროს დაკვირვებას გამოვიყენებ მოსწავლის სუსტი მხარეების დაძლევისა და შესაძლებლობების სრულ რეალიზებისათვის (დანართი 7) დიაგნოსტიკური ტესტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ,რომ რამდენიმე მოსწავლე სხვებთან შედარებით ნაკლებად ფლობს ფონოლოგიურ უნარებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა უმრავლესობას შეუძლია ტექსტის წაკითხვა, თუმცა ეძნელებათ ტექსტის გააზრება.



მოსწავლეთა რაოდენობა : 12

დაკვირვების ვადა ერთი სემესტრი

ინტერვენციამდე დანართი N 1	შეძლო	ვერ შეძლო
კითხვა-პასუხი	8	4
აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი/ ზარმაცი)	6	6
აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	5	7
ადარებს პერსონაჟებს	6	6
არგუმენტირებული მსჯელობა	3	9
ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	4	8

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია დაწყებით საფეხურზე წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავება. ამ მხრივ არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

მნიშვნელოვანია კვლევის ფარგლებში გავაანალიზო თუ როგორ შევუწყო ხელი მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავებას. გამოვყო და დავადგინო ძირითადი მიზეზები, თუ რატომ უჭირთ მოსწავლეებს წაკითხულის აღქმა. გამოვიკვლიო რა მეთოდები გამოიყენება ამისთვის ,როგორი აქტივობებით ხდება არსებული პრობლემის დაძლევა გაკვეთილზე, როგორ ხდება მარტივიდან რთულისაკენ გადასვლა. ასევე ამ კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნას რა რესურსების გამოყენება გაამარტივებს ტექსტის აღქმას, მის გაგებას და დაეხმარება თუ არა ამ საკითხის მოგვარებაში მასწავლებელს კონსტრუქტივისტული , ჰოლისტური მიდგომა და მოქნილი შეფასების რუბრიკა.

ჩემი მიზანია, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დაისახოს ინტერვენციები და შეფასდეს თითოეული ინტერვენციის შედეგი.

საკვლევი კითხვები

1. იყენებს თუ არა მასწავლებელი კითხვის დასმის მრავალფეროვან სტრატეგიებს.
2. პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა
3. იყენებს თუ არა მასწავლებელი სწავლების ინოვაციურ მეთოდებს ? როგორ?
4. იყენებს თუ არა მასწავლებელი ტექსტის გაგება - გააზრებისთვის კოგნიტურ საგზაოვნო სქემებს
5. რამდენად შეუწყობს ხელს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები ტექსტის გაგება-გააზრებას .
6. ითვალისწინებს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს .
7. იყენებს თუ არა მასწავლებელი ტექსტის გაგება-გააზრების დროს წამახალისებელ სტრატეგიებს .

სამიზნე ჯგუფი:

ქვიტირის საჯარო სკოლა 1-ლი კლასი

სკოლის ადმინისტრაცია	მოსწავლეები	მასწავლებლები	მშობლები
ადმინისტრაცია უნდა იყოს ჩართული, რადგან კვლევის დროს გვესაჭიროება სასკოლო რესურსები და უსაფრთხო გარემო.	გამოვუმუშავდეთ მოსწავლეებს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარები.	მინდოდა გამეგო სხვა მასწავლებელთა აზრი, გამეზიარებინა მათი გამოცდილება იმის თაობაზე, აქვთ თუ არა სხვა ჯგუფებს მსგავსი პრობლემები და როგორ დაძლიეს ისინი.	მინდა ვიცოდე მშობლებისგან, რა დროს უთმობენ მათი შვილები წიგნის კითხვას, ყვებიან თუ არა მათ მიერ წაკითხულს და იაზრებენ თუ არა ტექსტის შინაარსს.

ლიტერატურის მიმოხილვა

უპირველესი და უმნიშვნელოვანესი, რისი გაანალიზებაც მიზნად დავისახე, საერთაშორისი კვლევები და ეროვნული სასწავლო გეგმა იყო. კვლევების საფუძველზე გავიგე: რას და როგორ სწავლობენ მოზარდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რამდენად და როგორ ესმით ის, რასაც კითხულობენ, რა უწყობს ხელს და პირიქით , რა აფერხებთ.

გავეცანი PIRLS-ის წიგნიერების საერთაშორისო კვლევას, რომელის მიზნად ისახავს შეაფასოს 9-10 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი. ამ დროს კითხვის უნარი ჩამოყალიბებულია. ხდება იმის გარკვევა, რამდენად წარმატებით შეძლებს მოსწავლე მაღალი კლასების სასწავლო პროგრამების დაძლევას.

PIRLS-ის ტესტები ამოწმებს წაკითხულის გააზრების უნარს-რამდენად კარგად იგებს, იაზრებს ამ ასაკის ბავშვი სხვადასხვა ტიპის ტექსტიდან მიღებულ ინფორმაციას.

PIRLS-ის წინა კვლევის დროს, 2010-2011 წლებში ,ქართველმა მოსწავლეებმა არცთუ სახარბიელო შედეგი აჩვენა. კერძოდ მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველი ბავშვების წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი -488 მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებლებს.

2011 წელს კვლევამ აჩვენა 2006 წელთან შედარებით წიგნიერებაში ქართველი მოსწავლეების მიღწევები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 17 ქულით გაუმჯობესდა. PIRLS-ის საერთაშორისო კვლევებმა დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს წაკითხულის გაგება-გააზრების მიმართულებით და მოზარდთა წიგნიერების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალია. კითხვის უნარის განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის შესაძლებლობას გაიუმჯობესოს ინტელექტუალური თუ ყოფითი აზროვნება. როცა მოზარდი კითხვას სწავლობს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თუ რა სტრატეგიებით ცდილობენ უფროსები მიზნის მიღწევას. ხშირად სხვადასხვა საგანში დაბალი შედეგები სწორედ იმ მოსწავლეებზე მოდის, რომლებიც ვერ კითხულობენ, ან სიტყვათა თუ წინადადებათა ამოკითხვას სწორად ახერხებენ, მაგრამ გააზრებული კითხვის გარეშე. მიზეზების ძებნა მნიშვნელოვანია, მაგრამ უმთავრესია პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის დაკვირვებიდან გამომდინარე, ზემოთ ჩატარებული კვლევები განაპირობებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ მიზნობრივ და მოტივირებულ ჩართულობას სხვადასხვა მიზნობრივ აქტივობებში.

ასევე გავეცანი, მთავარ დოკუმენტს-ეროვნული სასწავლო გეგმა:

მუხლი : 48 - ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები.

წიგნიერება . წიგნიერება ტრადიციული გაგებით გულისხმობს კითხვის ,წერის , მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის ,წერის , ინფორმაციის გადამუშავების, იდეებისა და მოსაზრების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის მოგვარების უნარი, იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იყენებს.

მედიაწიგნიერება: საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში, ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი

დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა-ტექსტებმა, რომლებიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. მედიაწიგნიერება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ციფრული წიგნიერება: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას მოსწავლეებში.

ეკოლოგიური წიგნიერება: ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს ,რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ.

მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია: მრავალმხრივი კომპეტენცია არის ადამიანის შინაგანი უნარი, დაეუფლოს და გამოიყენოს ენა/ენები. ნებისმიერ საგანში ცოდნასა და უნარებს მოსწავლე ენობრივი აქტივობების საშუალებით იძენს.

სემიოტიკური კომპეტენცია: სემოიტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკა, დიაგრამა, სქემა და სხვ.)საშუალებებით გადმოცემული ინფორმაციის საშუალებებით გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებებით გადმოცემის უნარი. ინფორმაციის ნიშანთა ერთ სისტემიდან მეორეში გადატანის (სიტყვიერ ტექსტში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტის და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა. შ.) უნარი.

სწავლის სწავლა: სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარს. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმარო მოსწავლეს იმ ფაქტებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომელიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩინოს ის ხერხები და მიდგომები, რომელიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშაოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია: სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა,

პრობლემის მოგვარება, კრიტიკული/შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება და სხვა.

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთი უმთავრესი მიზანია განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები. კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ამასთანავე, ეს მიმართულება ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ტექსტის წაკითხვის, მათში მოცემული ინფორმაციის გაგების, გააზრებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. 21-ე საუკუნის ინფორმაციულ საზოგადოებაში წიგნიერება ადამიანის ერთერთ საკვანძო და საბაზისო კომპეტენციას წარმოადგენს. დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს პროფესია და კარიერული წინსვლა, რომელიც ადამიანისგან სხვადასხვა ტიპის ტექსტების დამუშავებას, გააზრებასა და ანალიზს არ მოითხოვდეს, ხშირად რამდენიმე ენაზეც კი.

კითხვის ჩვევა, ისევე როგორც ამ პროცესის სიამოვნების მიღების უნარი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მოსწავლის წარმატებისათვის. მოზარდებში ამ კომპეტენციების განვითარებისათვის კი მნიშვნელოვანია , რომ მასწავლებელს თავად უყვარდეს კითხვა და ბევრს კითხულობდეს.

კვლევის მიზნით გავეცანი სიკო ჯანაშიას სტატიას „რას კითხულობენ მასწავლებლები?“ -ის, თუ რამდენად ნაყოფიერად ასწავლის მასწავლებელი მოზარდებს კითხვას, განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: რამდენად იცის მასწავლებელმა კარგად კითხვა , როგორ ასწავლის ამას მოსწავლეს, რას და რამდენად კითხულობს საკუთარი პროფესიული ზრდისთვის, ან პირადი სიამოვნებისთვის . თუ პედაგოგმა სწრაფი კითხვის სტრატეგია არ იცის, ან არ იყენებს მას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსწავლეებმა ამ ტექნიკას *დაეუფლოს.(რას კითხულობენ მასწავლებლები? სიკო ჯანაშია .ე. ს. გ. და შეფასების ცენტრის დირექტორი. ჟურნალი „მასწავლებელი“ N 1. 2009)* სწრაფი კითხვის დასაუფლებლად ვიყენებ სხვადასხვა სტრატეგიებს. კარგი მკითხველი შეძლებს გაგება/გააზრებას, ვიყენებ „ბუქსირის“ მეთოდს. ვაკითხებ წყვილებში სწრაფ და ნელ მკითხველს ერთდროულად. ნელი მკითხველი შეეცდება გაიუმჯობესოს კითხვის ტექნიკა, ეს კი დაეხმარებათ ტექსტის გაგება / გააზრებაში.

,, თუ მოსწავლე დადებით მაგალითს ხედავს სკოლასა და სახლში, მათ უფრო ხშირად უჩნდება წიგნების კითხვის სურვილი. თუ მშობლებს კითხვა უყვარს ,მათი შვილებიც ბევრს *კითხულობენ.(სიკო ჯანაშია. ე ს გ და შეფასების ცენტრის დირექტორი ჟურნალი ,,მასწავლებელი“ N 1 .2009)* ხშირად ვსტუმრობთ ბიბლიოთეკას, ერთად ვარჩევთ და ვკითხულობთ ლიტერატურას .მინდა გამოიყენონ ,,მიმბაძველობა“, მშობლებს ვთხოვ შვილების თანდასწრებით წაიკითხონ სხვადასხვა სახის ლიტერატურა.

,,უაღრესად მნიშვნელოვანია, ბავშვებს ჰყავდეთ მოდელი მოწიფული ადამიანისა, რომელსაც უყვარს კითხვა .ეს იყოს ,უპირველეს ყოვლისა ,მშობელი ან *მასწავლებელი“(თამარ კერძაია , მარინე ჯაფარიძე; კვლევა-კითხვის ინტერესები 13-17 წლის მოზარდებში.2012)*

,,მოსწავლეების დიდი ნაწილი სიამოვნებით კითხულობს. ასევე მნიშვნელოვანია , რომ მასწავლებელი ისეთ საკითხავს სთავაზობს მოსწავლეს ,რაც მისი ასაკისათვის იქნება შესაფერისი. თაობებს შორის განსხვავება სულ უფრო იზრდება და პედაგოგებს უჭირთ იმის გარკვევა თუ რა აინტერესებთ მოსწავლეებს.“ (*სიკო ჯანაშია .ე. ს. გ . და შეფასების ცენტრის დირექტორი. ჟურნალი ,, მასწავლებელი“ N-1 . 2009)*

ამისათვის ხშირად ვაძლევ ისეთ დავალებას ,რომელიც ტექსტის ანალიზს გულისხმობს უნდა შეძლონ ,მაღალ სააზროვნო კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით ან ზეპირსიტყვიერად. დიდ ყურადღებას ვუთმობ შინაარსის ცოდნას . ვკითხულობ, ვეძებ, ვპოულობ გზებს ტექსტის გაგება/გააზრება უფრო ადვილი და ყველასათვის გასაგები რომ იყოს. ვურჩევ /არჩევენ მათვის საინტერესო მოთხრობას. სადამრიგებლო საათზე. უზიარებენ საკუთარ შთაბეჭდილებებს ერთმანეთს, წაკითხულის შემდეგ აკეთებენ ჩანაწერს,, უბის წიგნაკში“-რა წაიკითხეს, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ . რაც საშუალებას მაძლევს გავიგო, შეძლეს თუ არა ტექსტის მთავარი სათქმელის გაგება და რა სახის ნაწარმოებები მოსწონთ. ეს მეხმარება შევარჩიო ისეთი ტექსტები წასაკითხად, რომელებიც ხელს შეუწყობს ტექსტის გაგება-გააზრებას. გავარკვიო რა აინტერესებთ მათი ასაკიდან გამომდინარე, რადგან თაობებს შორის განსხვავება იზრდება ,იცვლება აზროვნებაც. მათი ჩანაწერებიდან გამომდინარე არ

მიჭირს მათი ინტერესების გათვალისწინება. დავიწყე მშობლებთან ერთად საკლასო ბიბლიოთეკის შედგენა.

,, ადამიანი არ არის ტაბულა რაზა. ფსიქოლოგიაში ,,კოგნიტური რევოლუციის" თანახმად, აღქმა, სწავლა, გაგება და პრობლემის გადაჭრა მიზანმიმართული ქცევაა, რომლის ფუნქციაა, წესრიგის დამყარებით , მნიშვნელობა შესძინოს ცოდნას. ამიტომ, კოგნიტურ სტრატეგიებსა და წარსულში მიღებულ ცოდნას ადამიანები აქტიურად იყენებენ , რათა საკუთარი კოგნიტური ნაკლოვანებები დაძლიონ (*შულმანი და ქერი 1984,გვ 508,509)*

ასევე საინტერესოა ჯოან გ. ქარფასის ,,კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში ,,კითხვა მხოლოდ ცალკეული სიტყვების აგებას არ ნიშნავს; კითხვა არის პროგრესირებადი ძალისხმევა, რომელიც ტექსტის ,,მნიშვნელობის მოდელის" შექმნას ისახავს მიზნად. ეფექტური მკითხველი ტექსტის კითხვაში კრიტიკული მომენტის მიახლოვებამდე ჩართულია. ასეთი მომენტი შეიძლება დადგეს ტექსტში მრავალი უცხო სიტყვის შეხვედრისას, რაც მთლიანად ტექსტის შინაარსის გაგებას ართულებს, ამის შემდეგ ეფექტური მკითხველი იღებს გადაწყვეტილებას მომდევნო ქმედების შესახებ, ფიქრობს როგორ გამოასწოროს სიტუაცია ისე, რომ კითხვის გაგრძელებ შეძლოს. ეფექტური მკითხველისაგან განსხვავებით, სუსტი მკითხველი ხშირად ვერც კი იაზრებს, რომ ტექსტში სიტყვა ან პასაჟი ვერ გაიგო და, ამდენად, სიტუაციის გამოსწორებასაც ვერ ახერხებს. *(ფალინკსარი და ბრაუნა ,1984)*) *(სახ: მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი , ,,სტატიები განათლების საკითხებზე "ჯოან გ. ქარფასი,, კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში" გვ. 120 ;გვ: 126)*

ასევე გავეცანი ,კოგნიტური განვითარების თეორიას" სადაც ,,სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების ხელშეწყობა. კოგნიტური განვითარება გულისხმობს მოსწავლეთა აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯის უნარებისა და ინტელექტუალური უნარების განვითარებას . პიაჟემ ბევრი რამ აღმოაჩინა იმის შესახებ თუ როგორ აზროვნებენ ბავშვები და როგორ შეიცნობენ ახალ სამყაროს.(***განვითარებისა და სწავლების თეორიები. 2011წ I ნაწილი გვ:14. ,,კოგნიტური განვითარების თეორია")*** იმისათვის რომ მოსწავლეებს დავეხმარო ინტელექტუალური უნარების განვითარებაში, ამისათვის გამოვიყენებ პიაჟეს კოგნიტურ პრინციპებს: სქემები; ასიმილაცია; აკომოდაცია; ექვილიბრუმი. ასიმილაცია და აკომოდაცია,

ჩვეულებრივ, ერთდროულად ხდება. ბავშვები ყოველ ახალ მოვლენას მათი არსებული ცოდნის კონტექსტში ხსნან, მაგრამ, ამავდროულად შეიძლება შეცვალონ ცოდნა ახალი მოვლენის საპასუხოდ (აკომოდაცია). აკომოდაცია იშვიათად ხდება ასიმილაციის გარეშე: ბავშვებს შეუძლია აკომოდაცია გაუკეთონ ახალ მოვლენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ უკვე შეუძლიათ ამ ახალი მოვლენების თავის არსებულ ცოდნასთან და შეხედულებებთან დაკავშირება.“ (***განვითარებისა და სწავლების თეორია.2011 წ გვ:17 ,, კოგნიტური განვითარების თეორია“)*** ახალი ტექსტის გაგება/ გააზრება უკეთ რომ შეძლონ, ვითვალისწინებ ასაკობრივ თავისებურებებს და არსებულ ცოდნას, ამის საფუძველზე ადვილად ახერხებენ ახალი მოვლენების დაკავშირებას არსებულ ცოდნასთან. როგორც ვიცით, ,,პიაჟე ბავშვთა განვითარებას ოთხ სტადიად ყოფდა:,, თითოეული სტადია ხასიათდება აზროვნების განსხვავებული მოდელით. რადგან ყოველი სტადია ემყარება წინა სტადიების მიღწევებს, მაგრამ ყველა ბავშვი ერთნაირად ვერ ვითარდება, თუმცა განვითარების სტადიას ერთნაირი თანმიმდევრობით გადიან. პრეოპერაციული სტადიის ბოლოს ბავშვები მოწიფული აზროვნების ნიშნების გამოვლენას იწყებენ.(***განვითარებისა და სწავლების თეორია. 2011 წ გვ: 19.,,კოგნიტური განვითარების თეორია“)*** მართლაც სკოლაში მოსულ მოსწავლეს უჭირს დამახსოვრება ,ერთ ადგილზე გაჩერება ,კომუნიკაცია. ყოველივე ეს თანდათან მცირდება იმახსოვრებენ და შეუძლიათ კომუნიკაციის დამყარება. წლის ბოლოსთვის ახერხებენ სწორად გადაჭრან პრობლემა ახდენენ საგანთა შორის კავშირს, მსჯელობენ, ასაბუთებენ ტექსტის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებას.

რადგან სასწავლო პროცესი უნდა ემყარებოდეს მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების დონეს, ვაძლევ მათ საშუალებას თვითონ გააკეთონ აღმოჩენები გარემოსთან ურთიერთობის საფუძველზე, ვიყენებ მრავალფეროვან დავალებებს. დავალებებს ვგეგმავ დიფერენცირებულად, რადგან განვითარება ერთნაირი სისწრაფით არ მიმდინარეობს. ეს უადვილებთ დავალების შესრულებას და შეფასებასაც ინდივიდუალური განვითარების გათვალისწინებით ვაძლევ.

ძალიან მეხმარება სწავლების პროცესში პიაჟეს შემდეგი თეორიის გამოყენება

- ,, ყურადღება გაამახვილეთ მოსწავლეთა აზროვნების პროცესზე და არა მხოლოდ მის შედეგზე. გააცნობიერეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინიციატივა და აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.
- გააცნობიერეთ, რომ მოსწავლეთა განვითარების ტემპები განსხვავებულია და გაითვალისწინეთ ეს განსხვავება სასწავლო პროცესში.(***განვითარებისა და სწავლების თეორია 2011 წ გვ: 33,, კოგნიტური განვითარების თეორია)***

გაგება -გააზრების შემოწმება--ამ მიზნით გავეცანი და გამოვიყენე განვითარებისა და სწავლების თეორიები, კერძოდ ,,მეტაკოგნიცია", საიდანაც კარგად ჩანს, რომ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა გაგება-გააზრების მონიტორინგი, რომელიც მოიცავს იმის პერიოდულად შემოწმებას, თუ რამდენად კარგად გაიგეს და დაიმახსოვრეს მოსწავლეებმა ახალი მასალა და როგორ შეუძლია საკუთარი თავის გაგება-გააზრების შემოწმება აღნიშნული საკითხის გადაჭრაში მათ დაეხმარებათ შემდეგი სავარჯიშო..(***განვითარებისა და სწავლების თეორია I ნაწილი 2011გვ.130.,,მეტაკოგნიცია"***)

მოსწავლეებს ვაძლევ დავალებას წაიკითხონ ტექსტი და საკუთარ თავს დაუსვან კითხვა რა ვისწავლე და რა გავიგე ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ. ასევე ვთხოვ მათ, რომ ფურცლის ბოლოს ჩამოწერონ რის გახსენებასაც შეძლებენ . ამის საშუალებით ვამოწმებ რამდენად კარგად ისწავლეს და დაიმახსოვრეს ახალი მასალა შემდეგ ისევ ვაკითხებ ტექსტს ,ისევ ამოვაწერინებ რა ისწავლეს, რა გაიგეს ტექსტის წაკითხვისას. ამის შემდეგ ვსვამ კითხვებს არის რამე, რაც გეგონათ რომ კარგად გესმოდათ, მაგრამ აღმოაჩინეთ, რომ არც ისე კარგად გცოდნიათ? ან საერთოდ არ გახსოვდათ? მათი პასუხიდან გავიგებ რამდენად კარგად გაიგეს/გაიაზრეს ტექსტი.

,, წარმატებული მოსწავლეები მუდმივად ამოწმებენ თავიანთ თავს, როგორც სწავლის დროს ,ასევე გარკვეული მასალის შესწავლის შემდეგ. მეტიც, ხვდებიან ,რომ რაღაც ვერ გაიგეს და ეძებენ გამოსწორების გზებს. კითხულობენ ხელახლა ან სვამენ კითხვებს გაკვეთილზე. როცა მოსწავლეები არ ამოწმებენ თავიანთ ცოდნას , რამდენად კარგად გაიგეს და ისწავლეს ახალი მასალა, რა გაიგეს და რა -არა, შესაბამისად არასწორად ფიქრობენ, რომ რაღაც ისწავლეს . ეს ცოდნის ილუზია ყველაზე ხშირია

დაწყებითი კლასის მოსწავლეებში“.(**განვითარებისა და სწავლების თეორია 2011წ I ნაწილი გვ: 131/132 ,,მეტაკოგნიცია)**

გაგების მონიტორინგის სტრატეგიის დაუფლებისათვის მოსწავლეებს ვამუშავებ წყვილებში, ამოწმებენ ერთმანეთს, საკუთარ თავს, რამდენად კარგად გაიგეს ნასწავლი მასალა. შემოწმების ერთერთი ეფექტური ხერხია თვითახსნა და თვითგამოკითხვა. კითხვის დროს ჩერდებიან და როგორც საკუთარ თავს ისე მეწყვილეს განუმარტავენ რა ისწავლა. თვითგამოკითხვისას კი პერიოდულად ჩერდებიან და საკუთარ თავსა და მეწყვილეს კითხვას უსვამენ.

,,როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში? სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებისათვის ვიყენებ პიაჟეს პრინციპებს.

- მოსწავლეები სწავლის სტრატეგიებს ყველაზე ეფექტურად კონკრეტული საგნების კონტექსტში სწავლობენ.
- მოსწავლეთა პატარა ჯგუფებში ერთად მეცადინეობა ხშირად ხელს უწყობს ეფექტური სტრატეგიების განვითარებას.
- მოსწავლეები უფრო კარგად დაეუფლებიან სწავლის ეფექტურ სტრატეგიას , თუ ჩვენ ხელს შევუწყობთ, რომ მათ მიერ სტრატეგიების გამოყენების პირველი მცდელობა წარმატებული იყოს
- მოსწავლეები უფრო ეფექტურად სწავლობენ, როცა სწავლის მრავალფეროვან სტრატეგიას იყენებენ
- მოსწავლეები სწავლის სტრატეგიებს უფრო ეფექტურად იყენებენ, როცა ესმით თუ რატომ არის ის სასარგებლო, როცა იციან, რა შემთხვევაში გამოიყენონ თითოეული მათგანი.
- მოსწავლეები მაშინ ეუფლებიან სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, როცა ამ ხერხის სხვადასხვა კონტექსტში რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობა ეძლევათ.

(განვითარებისა და სწავლების თეორია, 2011წ. I ნაწილი. გვ: 132/133 ,,მეტაკოგნიცია“)

საინტერესო და ყურადსაღებია განათლების სპეციალისტის **დევიდ პერკინსის** მოსაზრებები განათლების მთავარ მიზნებთან დაკავშირებით: მისი აზრით განთლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი

კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. განათლების მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ მოსწავლეები ჯერ იძენენ ცოდნას და შემდეგ იწყებენ ფიქრს, ხოლო პერკინსის აზრით, მოსწავლეები მაშინ იძენენ ცოდნას ,როცა სწავლის პროცესში ხდება მისი გააზრება. მაშასადამე, „აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას.“ „რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა ფიქრისა და სწავლის შესახებ, ანუ რაც უფრო მაღალია მათი მეტაკოგნიტური ცნობიერება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ ისინი და უფრო მაღალ შედეგებს აღწევენ“.

დევიდ პერკინსმა ეფექტური სწავლების 7 პრინციპი ჩამოაყალიბა:

1. გააცანით მოსწავლეებს სასწავლო პროცესის "საბოლოო პროდუქტი

2.აჩვენეთ მოსწავლეებს, თუ რა ღირებულება აქვს ამა თუ იმ საკითხის შესწავლას.

3. საგანგებო ყურადღება გაამახვილეთ რთულ საკითხებზე;

4. დაეხმარეთ მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში;

5. გააცანით მოსწავლეებს თემის/საკითხის მიღმა არსებული ლოგიკა, პრინციპი;

6. განავითარეთ მოსწავლეებში თანატოლებისგან სწავლის უნარი.

7. ასწავლეთ მოსწავლეებს სწავლა.

პერკინსის „თეორია ერთის“ საკლასო პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის ნათელი ინფორმაციისა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებას, გააზრებული პრაქტიკის შეთავაზებას, რაც აღძრავს მოსწავლის შინაგან და გარეგან მოტივაციას. ნათელი ინფორმაცია გულისხმობს იმას, თუ **„რა,“ „როგორ“ და „როდის”** უნდა გაკეთდეს. მოსწავლეების შეცდომების ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი ცდილობს იპოვოს ის გზები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, უკეთ გაიგონ მოცემული საკითხი.

„თეორია ერთის“ ამოქმედებას ხელს უწყობს სწავლების შემდეგი მეთოდები: დიდაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული და სოციალური, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს აზროვნების აქტივაციაში. მისი აზრით, კარგად აზროვნება გულისხმობს საკუთარი აზროვნების პროცესების მართვას, რომელიც მოიცავს შემდეგის გააზრებას: რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები, როგორ უნდა მოახდინო საკუთარი აზროვნების მონიტორინგი (შემოწმება) და წარმართო იგი სწორი მიმართულებით და ა. შ. ეს

ერთგვარად ჰგავს საკუთარი აზროვნების შესწავლას ანუ რეფლექსიას (თვით-განცდას, გაცნობიერებას), მეტაკოგნიციას.

ბენჯამენ ბლუმი კი აღნიშნავს, რომ განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება. მან სააზროვნო უნარების კლასიფიკაცია სქემატურად ასე წარმოადგინა:



ძალიან საინტერესოა ირინა სამსონიას „ წიგნიერება "და ნანა ლომინაძის „სტატია „გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე"(27 აგვისტო, 2015 ნანა ლომიძე))-აღნიშნავენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ -კითხვის უნარია .კითხვის საბაზო უნარის ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში, სასკოლო პერიოდის პირველ ეტაპზე ხდება და ის ხელს უწყობს იმ სააზროვნო პროცესების განვითარებას. რომელიც ეფექტური სწავლისა და სწავლების წინაპირობაა საშუალო განათლების მომდევნო საფეხურზე. ამიტომ სწორად უნდა იქნეს შერჩეული ისეთი სტრატეგიები, რომელიც დააუფლებს და განუვითარებს კითხვის ტექნიკას. თუ ეს პროცესი სწავლების პირველ ეტაპზე არ მოწესრიგდა, კითხვა უჭირთ ყველა სასწავლო დისციპლინაში. განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა. ამისათვის ზრუნვა სწავლების ადრეული საფეხურიდანვე უნდა დავიწყოთ. თუ ბავშვს იმთავითვე გავუღვივეთ კითხვის სიყვარული, ის მას მთელი ცხოვრება გაჰყვება. კითხვა მოზარდს

საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობაში ეხმარება. კარგ მკითხველად ჩამოყალიბებას ხელი უნდა შევუწყოთ ქართულის გაკვეთილზე, დავაუფლოთ მოზარდი კითხვის ტექნიკასა და გააზრებულ კითხვას. ამისათვის ვიყენებ სხვადასხვა მეთოდებს. დაწყებითი საფეხური მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვის, როგორც მკითხველის ჩამოყალიბებაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს-სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტს. ***გავეცანი ვერიკო სომხიშვილის „საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრების სწავლება დაწყებით საფეხურზე“***(Sencibaugh, 2007). (9 მარტი, 2015 ვერიკო სომხიშვილი)

ინფორმაციული ტექსტის შესწავლისას ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ვითვალისწინებ იმ სიძნელეებს რაც ახლავს ინფორმაციული ტექსტის დამუშავებას. ვაწვდი დამატებით ინფორმაციას, იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს. ვითვალისწინებ ასაკობრივ ჯგუფს, თემა მათვის ნაცნობია, ხელს ვუწყობ კითხვის სტრატეგიების ეფექტურად გამოყენებაში, ახერხებენ დასკვნების გამოტანას და მოჰყავთ არგუმენტები ტექსტიდან. წაკითხულის გააზრების პრობლემები მრავალმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს. ყველაზე გავრცელებული მიზეზია:

- მწირი ლექსიკური მარაგი;
- გამართულად კითხვის დეფიციტი;
- მკითხველისათვის უცხო საკითხავი თემა;
- ტექსტის სირთულე;
- კითხვის ეფექტური სტრატეგიების არაადეკვატური გამოყენება;
- სუსტი ვერბალური მსჯელობა;
- ინფორმაციის გადამუშავების პრობლემა;
- წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა.

კითხვაში დახმარების მეთოდების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ წაკითხულის გააზრების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის შესაძლებელი, თუ მოსწავლეებს მიზანმიმართულად ვასწავლით: გაგების მონიტორინგს; პარაგრაფში

ძირითადი აზრის პოვნას; კითხვის სამივე ეტაპზე შეკითხვების დასმას; დასკვნების გამოტანასა და ტექსტის ნაწილების დაკავშირებას; ძირითადი ინფორმაციის თხრობას.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ყველაზე მარტივია ტექსტში მოცემული ზედაპირული ინფორმაციის გაგება. რაც შეეხება ტექსტიდან გამომდინარე დასკვნებს, მსჯელობას, შეფასებას ,ჟანრის გაგებასა და ზოგადად, ტექსტის გააზრებას, ამ მხრივ, პრობლემები გამოიკვეთა.

კვლევები ადასტურებს იმასაც, რომ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წიგნიერი უნარ-ჩვევების ფლობა. წიგნიერი უნარ-ჩვევების მფლობელი მოსწავლეები სწრაფად და ხარისხიანად სწავლობენ ყველა სასწავლო დისციპლინაში. წიგნიერი მოსწავლეები გამოირჩევიან ემპათიის, პოზიტიური სოციალური ურთიერთობების და თანამშრომლობის უნარებით. მოსწავლეებს, რომელთაც სათანადოდ არ განუვითარდათ კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები, უჭირთ ამ უნარების გამომუშავება მომდევნო კლასებში.

,,გაგება-გააზრების უნარის განვითარების პროცესი არ არის ადვილად და თავისთავად განვითარებადი. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. გააზრების უნარ-ჩვევებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება“-ამბობს ნათია ჭუმბურიძე. **(სტრატეგიები, წაკითხული ტექსტის *გაგება-გააზრებისთვის* (19 მარტი, 2019 ნათია ჭუმბურიძე)**

ვინაიდან სამივე საგანს ვასწავლი შემიძლია დამაჯერებლად ვთქვა, რომ წიგნიერი მოსწავლე უკეთესად იაზრებს, სხვებისგან განსხვავებით გააჩნია თანაგრძნობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის უნარი. ჩემი მიზანია გააზრების უნარ-ჩვევები/ სტრატეგიები შევავსო ,გავამდიდრო, გავაძლიერო უწყვეტ ნაკადად, რადგან არ იყოს ერთფეროვანი, ვიყო გადახალისების პროცესში. შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სწავლების ხარისხი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებითაც.

კვლევიდან კარგად ჩანს, რომ წაკითხულის გააზრება უჭირთ მოსწავლეებს, პრობლემის აღმოფხვრა ჩვენზეა დამოკიდებული რა სტრატეგიებს და როგორ მიზანმიმართულად გამოვიყენებთ. ტექსტის გააზრების ხელშემშლელი პირობაა ლექსიკური მარაგის სიმწირეც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნანა ლომინაძის - „გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე“ მიდგომებისა და საჭიროებების გაზიარება კითხვის სწავლების კუთხით; სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობის დაგეგმვა და გამოყენება სასწავლო პროცესში; კითხვის დიფერენცირებული სწავლება დიაგნოსტიკური და სხვა ტიპის შეფასების გამოყენებით; საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა. ამისთვის ზრუნვა სწავლების ადრეული საფეხურიდანვე უნდა დავიწყოთ. სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი – რა უნდა იცოდეს და რა შეეძლოს. სწორედ მიზანზეა დამოკიდებული გაკვეთილის მსვლელობა და სწავლების მეთოდებიც.

მეთოდის შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ: ა) დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული მიზნის მიღწევაში; ბ) შეესაბამება თუ არა მეთოდი აქტივობას; გ) შეესაბამება თუ არა მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას; დ) ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები, გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამდენ მოსწავლესთან მეთოდის ეფექტიანად გამოყენება).(***გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე 27 აგვისტო, 2015 ნანა ლომიძე***)

გაკვეთილის დაგეგმვისას კარგად მაქვს გააზრებული მიზანი, მისი შესაბამისი აქტივობები და მეთოდები, ამ სამ კომპონენტს შორის თანხვედრა აუცილებელი პირობაა კითხვის ტექნიკის სრულყოფისათვის, რაც ეხმარებათ მოსწავლეებს ტექსტის უკეთ გაგება/გააზრებაში. რესურსიც შესაბამისად მაქვს შერჩეული. წინააღმდეგ შემთხვევაში წავაწყდებით პრობლემებს ტექსტის გააზრების დროს.

ვინაიდან ჩემი კვლევა მიმართულია ტექსტის გააზრებისკენ, ამისათვის აუცილებელია გვესმოდეს კითხვის მნიშვნელობა.
კითხვის მიზანია:

- ლიტერატურული გამოცდილების მიღება
- ინფორმაციის მიღება და გამოყენება
- სიამოვნების განცდა

წაკითხულის გააზრება გულისხმობს:

- უშუალოდ დასკვნების გამოტანას;
- ძირითადი საკითხების მიგნებას;
- აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაციას საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე:
- ტექსტის ენის შეფასებას და მხატვრული ხერხების გააზრებას.

განასხვავებენ კითხვის სამ ფაზას:

- წაკითხვამდე (გამოწვევა)
- კითხვას(ცოდნის კონსტრუირება, შინაარსის რეალიზება)
- წაკითხვის შემდგომს(გამთლიანება/რეფლექსია) **(გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე 27 აგვისტო, 2015 ნანა ლომიძე)**

კონსტრუქტივისტულ და ინტერაქტიულ მიდგომაზე დაფუძნებულ გაკვეთილი, კითხვისა და წერის სხვადასხვა უნარის განვითარებას ისახავს მიზნად. ამისათვის გაკვეთილზე შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების რამდენიმე ეფექტური მეთოდი:

▪ დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე; ▪ ცნების რუკა; ▪ ტექსტის წაკითხვა მონიშვნებით (შ ნ სკა); ▪ ვენის დიაგრამა.

კითხვის აქტივობას, ჩვეულებრივ, **სამფაზიანი სტრუქტურა** აქვს: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის შემდეგ.



კითხვის სტრუქტურის სამივე ფაზაზე ყველა მოსწავლის წარმატებულად მიყვანაში მეხმარება კარგად დაგეგმილი გაკვეთილი სხვადასხვა აქტივობებით. მოსწავლეთა მიერ მათი წინარე ცოდნის დემონსტრირების შემდეგ მასწავლებელი აფასებს , საკმარისად კარგად ესმით თუ არა განსახილველი საკითხის არსი. ცნების რუკა კარგი მეთოდია ინფორმაციის დასამახსოვრებლად, გასააზრებლად და დასახარისხებლად. მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა შესაბამისი მოტივაცია და კითხვის უნარი, ახალი ცოდნის კონსტრუირებისა და ტექსტის გაგება /გააზრებისათვის მნიშვნელოვანია კარგად ავუხსნა დამოუკიდებელი კითხვის მნიშვნელობა . ამისათვის ვიყენებ მონიშვნებით (+-) ან მარკირებით კითხვის მეთოდს. დამოუკიდებელი კითხვა დაეხმარებათ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში , შეძლებენ მსჯელობას ,კითხვაზე პასუხის გაცემას , ინფორმაციის დახარისხებას . ეს საშუალებას მაძლევს კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ ტექსტს, რაც ხელს შეუწყობა ახალი ინფორმაციის დამახსოვრებაში. ამისათვის საჭიროა სამივე ფაზაზე კარგად მორგებული მეთოდების გამოყენება. გაკვეთილის სამფაზიანი სტრუქტურის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ მას თითქმის ყველა მოსწავლე მიჰყავს წარმატებამდე, განურჩევლად მისი უნარებისა თუ კითხვის მოტივაციისა

ასევე გავეცანი სარესურსო წიგნს , რომელიც შეიქმნა საქართველოს დ/კლასების (G-Pried) ფარგლებში. ამ წიგნში ნათქვამია რომ G-Pried-ის დამატებით საკითხავ წიგნებს რამდენიმე კონკრეტული და პრაქტიკული დანიშნულება აქვს: კითხვის

ტექნიკის ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარება; ზეპირი და წერითი კომუნიკაციისთვის საჭირო ლექსიკური მარაგის გამდიდრება: „ წიგნების ენის“ დაუფლება; გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება; სამყაროს შესახებ ცოდნის გაღრმავება; კითხვის მოტივაციის გაღვივება და წიგნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. **ფონოლოგიური უნარ-ჩვევები** კითხვის ერთ-ერთი საფუძველია- ნათქვამია **G-Pried - ის სარესურსო წიგნში.** ამ უნარების მქონე ბავშვს შეუძლია ბგერებითა და ზეპირი სიტყვებით მანიპულირება, ბგერებითა და სიტყვებით „თამაში“. ძირითადად იგულისხმება ბგერების ამოცნობა, ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა, ასევე ბგერებისა და მარცვლების გადაბმა-გამთლიანება .ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, განივითარონ გაწაფული კითხვის უნარ-ჩვევები, თუმცა მუშაობა იმავდროულად უნდა წარიმართოს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების განვითარების მიმართულებითაც-ესმოდეთ რასაც კითხულობენ. სწორედ ეს უნარი აძლევს მათ საშუალებას, შეიძინონ ცოდნა და მიიღონ ინფორმაციის სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ტექსტებიდან.



წაკითხულის გააზრება გულისხმობს მოსწავლის მიერ წაკითხულის გაგებას, ტექსტში გამოყენებული პრაქტიკულად ყველა სიტყვის გააზრებას როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. გააზრება, წაკითხულის აღქმა არა მარტო ტექნიკური უნარებით, არამედ მეტყველების უნარის დონითაც განისაზღვრება.

ასევე გავეცანი და ძალიან საინტერესოდ მივიჩნიე თომას ჯ. გუნინგის „წიგნიერების სწავლება მოსწავლეთათვის“. რომლის შესავალში საუბარია თუ როგორ გავიაზროთ წიგნიერება. ტექსტის სახით ორგანიზებული წიგნიერება ბევრი ერთმანეთთან ინტეგრირებული პროცესისაგან შედგება. ეს პროცესებია ენა და ლექსიკა, ფონოლოგიური ცნობიერება და ფონეტიკა, სიტყვების შეცნობა და ადრეული ტექსტობრივი კონცეპტები, ზეპირი მეტყველება და გამართული მეტყველება, წაკითხულის და მოსმენილის გააზრება, ადრეული წერითი ცნობიერება და წერილობითი თხზულება. ამ წიგნში თითოეული ზემოთ აღწერილი პროცესის შეფასება და განვითარება ცალ-ცალკე თავებადაა აღწერილი, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პროცესები არა დამოუკიდებელი, არამედ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთდამოკიდებულია თითოეული პროცესის ცოდნაზე.

კითხვის სწავლის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური განვითარების უახლოესი ზონა (ლევ ვიგოტსკი). მასწავლებელი დიაგნოსტიკური და განმავითარებელი შეფასების მონაცემებზე დაყრდნობით დაადგენს მოსწავლეთა მზაობას, საჭიროებებსა და ინტერესებს, შეარჩევს ადეკვატურ ტექსტებსა და დავალებებს. მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ ივითარებენ კითხვის კომპეტენციებს და მასწავლებლის დახმარებით ეუფლებიან გაგება-გააზრების სტრატეგიებს.

ვფიქრობ, რომ ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინება ხელს შეუწყობს დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავებას და გაზრდის მათი ჩართულობის დონეს ამ პროცესში.

კვლევის მეთოდები:

კვლევის მეთოდი იყოფა ორ ჯგუფად: თვისობრივი და რაოდენობრივი.

თვისობრივი:

- *დაკვირვება*

კვლევის მეთოდის მიზანი: დავაკვირდე მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში და გავარკვიო რა განაპირობებს ტექსტის გაგება-გააზრების დაბალი ხარისხის გამოვლენას.

სამიზნე ჯგუფი : მოსწავლეები

- ***ფოკუს-ჯგუფი***

კვლევის მეთოდის მიზანი: პრობლემის იდენტიფიცირება, გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობა.

სამიზნე ჯგუფი: მასწავლებლები

პედაგოგიური კვლევის წარმატებით განხორციელებასა და მისი შედეგების ადეკვატურობის მიზნით, მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოვიყენე კვლევის თვისობრივი მეთოდი (აღწერითი, შერჩევითი, ფოკუსირებული) ასევე ანკეტირება მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის .

აღწერითი დაკვირვება: I სემესტრის ბოლოს მოსწავლეთა მზაობის ხარისხის დასადგენად, შევარჩიე ზოგადი მონიტორინგის ფორმა , მსურდა გამეგო რამდენად კარგად ახერხებდნენ I კლასის მოსწავლეები ტექსტის გაგება -გააზრებას. 1 თვის განმავლობაში ყოველ დღე ვაკვირდებოდი 4-4 მოსწავლეს შედეგი შემქონდა დაკვირვების ფორმაში; ყოველივე ამან ნათლად დამანახა, რომ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს უჭირს წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება, მთავარი აზრის გამოტანა, ვარაუდების გამოთქმა ,პერსონაჟთა ხასიათის ამოცნობა / დახასიათება. ისინი ვერ აკმაყოფილებენ ე. ს. გ. გათვალისწინებულ I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტს.

ფოკუსირებული დაკვირვება: აღწერითი დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე გადავედი მომდევნო ეტაპზე - ფოკუსირებულ დაკვირვებაზე. დაკვირვების მიზანი იყო ,მოსწავლეთა წარუმატებლობის მიზეზების დადგენა და დასკვნების საფუძველზე დამესახა მომდევნო ნაბიჯები სუსტი მხარეების დასაძლევად.

ფოკუსირებული დაკვირვებისას ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირებები (იხ. დანართი 1) რისკ ჯგუფის მოსწავლეებთან, სხვადასხვა უნარების შესამოწმებლად:

როგორ კითხულობდნენ მოცემულ ტექსტს, იაზრებდნენ თუ არა მის შინაარსს, იგებდნენ თუ არა ყველა სიტყვის მნიშვნელობას, იაზრებდნენ თუ არა ამ სიტყვებს კონტექსტში, გამოხატავდნენ თუ არა თავიანთ დამოკიდებულებას მიწოდებულ ტექსტთან დაკავშირებით, შეეძლოთ თუ არა ჩემ მიერ მითითებული ადგილების მოძებნა ტექსტში, შეეძლოთ თუ არა პერსონაჟთა ხასიათების ამოცნობა, გრამატიკული ერთეულების მოძიება, ასევე მსჯელობა ტექსტის შესაძლო გაგრძელებასთან დაკავშირებით, შეეძლოთ თუ არა დაეკავშირებინათ მოთხრობაში ან ლექსში გადმოცემული ამბავი პირად გამოცდილებასთან, შეექმნათ მთლიანი მოთხრობის ან ცალკეული ეპიზოდის შესაბამისი ნახატი და გაეგრძელებინათ სხვის მიერ დაწყებული კითხვა.

ჩემ მიერ შედგენილი დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე დამტკიცდა, რომ აღნიშნულ მოსწავლეებს უჭირდათ გამართული კითხვა, ტექსტიდან მთავარი აზრის გამოტანა, პერსონაჟებზე მსჯელობა, კითხვის გაგრძელება, ჩემს მიერ მითითებული ადგილების მოძიება ტექსტში, გრამატიკული ერთეულების ამოცნობა, სიტყვის მნიშვნელობის გააზრება კონტექსტის მიხედვით, ასევე ეპიზოდების გამოყოფა და მათი დასურათება, რაც უქმნიდა მათ პრობლემას წაკითხულის გაგება-გააზრებისას.

შერჩევითი დაკვირვება: შერჩევითი დაკვირვების დროს ინდივიდუალურად ვაკვირდებოდი პრობლემურ მოსწავლეთა პროგრესს წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით. პერიოდულად ვატარებდი დიაგნოსტიკურ ტესტირებებს. დაკვირვების შედეგებს ვინიშნავდი ჩემს მიერ საგანგებოდ მომზადებულ ფორმაში *(დანართი 4)*

ამავე დროს მოსწავლეებს რეგულარულად ვთავაზობდი დამატებით აქტივობებს გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით. პარალელურად ვმუშაობდი ამავე საკითხზე, ვაწარმოებდი მონიტორინგს მთელ კლასთან და ვაკვირდებოდი მათი ჩართულობის ხარისხს.

ფოკუს-ჯგუფი (მასწავლებლები):გარდა მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვისა, მონაცემების დაზუსტების, სანდოობისა და შედარების მიზნით, ჩავატარე გამოკითხვა ჩემს კლასში შემომსვლელ მასწავლებლებთან. კითხვებზე პასუხებს ვიწერდი „ინტერვიუს ფურცელზე“. ინტერვიუს დროს ვიყავი აქტიური და

ემპათიური მსმენელი, გამოვხატავდი ინტერესს, მათ თავს არ ვახვევდი საკუთარ შეხედულებებს, მოსაზრებებს. გამოკითხვის ბოლოს თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადე დათმობილი დროისა და ყურადღებისთვის.

კითხვები წარმოდგენილი მაქვს დანართის სახით (იხ. დანართი5).

რაოდენობრივი:

- ✓ **ანკეტირება**

კვლევის მეთოდის მიზანი: რაოდენობრივად განვსაზღვრო რამდენად ეხმარებიან მშობლები ტექსტის გაგება გააზრებაში

სამიზნე ჯგუფი : მშობლები ,მოსწავლეები.(დანართი N5)

ანკეტა მოვამზადე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. კითხვარი იყო დახურული ტიპის. თითოეულ საკითხს მიწერილი ჰქონდა სავარაუდო პასუხები, რომელთაგან მათ სასურველი უნდა შემოეხაზათ. ეს კითხვარები მოსწავლეებს შევავსებინე კლასში. ისინი მუშაობდნენ მშვიდ, მყუდრო, თბილ გარემოში. არ იგრძნობოდა არანაირი შიში და შეშფოთება, პირიქით, მოსწავლეები ძალიან დაინტერესებულები იყვნენ მათი შევსებით.

მშობლებს კი ანკეტები სახლში გავატანე და ვთხოვე სახელისა და გვარის დაწერის გარეშე, გულწრფელად ეპასუხათ მასში მოცემულ კითხვებზე. ვფიქრობ, ანონიმურობა მათ ხელს შეუწყობდა ყოფილიყვნენ ბოლომდე გახსნილები საკუთარ პასუხებში. მათ კარგად გაიაზრეს ასეთი კვლევის სარგებლიანობა მათივე შვილებისთვის, ამიტომაც კითხვარები მალევე და დიდი ყურადღებით შეავსეს, რამაც უდავოდ დიდი სამსახური გამიწია მონაცემების შეჯამებასა და დასკვნების გაკეთებაში. ეს რაოდენობრივი მონაცემები წარმოვადგინე დიაგრამების სახით

მონაცემთა ანალიზი:

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

1. **რატომ კითხულობ წიგნებს?**



2.რას უთმობენ მეტ დროს მოსწავლეები: კომპიუტერულ თამაშებს თუ წიგნის კითხვას?



3.როდის უფრო მოგწონს კითხვა: როცა თავად კითხულობ? როცა სხვა გიკითხავს?



4. განიჭებს თუ არა კითხვა სიამოვნებას?



5. ყოველთვის იგებ წაკითხულის შინაარს?



6. ვის უზიარებ წაკითხულის შინაარს?



7.როგორი ტიპის ტექსტებს იგებ უკეთ?



8.მიგიბაძავს საკუთარი პერსონაჟისათვის?



მშობელთა გამოკითხვის შედეგები:

1.ახერხებთ თუ არა ბავშვის ყურადღების გამოწვევას კითხვის დაწყების წინ?



2) რას უთმობს მეტ დროს ბავშვი : კომპიუტერულ თამაშებს თუ წიგნის კითხვას?



3) საჭიროებს თუ არა თქვენი შვილი წაკითხულის გაგება -გააზრებისათვის დახმარებას?



4) კითხულობთ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას შვილთან ერთად ?



5) იმისთვის, რომ ბავშვი კითხვით დააინტერესო, შეგითავაზებია თუ არა კომპიუტერში მოძიებული პატარა მოთხრობა ეკრანზე წაეკითხა?



6. მსჯელობთ თუ არა წაკითხულის ირგვლივ შვილთან ერთად?



7) როგორი ლიტერატურის წაკითხვის შემდეგ ითხოვს ბავშვი დახმარებას, წაკითხულის გასააზრებლად?



პრეტესტი და პოსტესტი:

პრეტესტი:

ინტერვენციამდე (დანართი N 1)	შეძლო	ვერ შეძლო
კითხვა-პასუხი	8	4
აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი/ ზარმაცი)	6	6
აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	5	7
ადარებს პერსონაჟებს	6	6
არგუმენტირებული მსჯელობა	3	9
ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	4	8

შუალედური:

ინტერვენციამდე (დანართი N 1)	შეძლო	ვერ შეძლო	შუალედური (დანართი N 2)	შეძლო	ვერ შეძლო
კითხვა-პასუხი	7	5	კითხვა=პასუხი	9	3
აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი/ ზარმაცი)	6	6	აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი, ზარმაცი)	8	4

აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	5	7	აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	7	5
ადარებს პერსონაჟებს	6	6	ადარებს პერსონაჟებს	7	5
არგუმენტირებული მსჯელობა	3	9	არგუმენტირებული მსჯელობა	6	6
ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	4	8	ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	7	5

პოსტესტი

I(N 1 (დასაწყისი)	ბალი	ბალი ვერ	შუალედური (დანართიN2)	ბალი	ბალი ვერ	ინტერვენციის შემდეგ (დანართი N 3)	ბალი	ბალი ვერ
კითხვა /პასუხი	8	4	კითხვა / პასუხი	9	3	კითხვა/ პასუხი	10	2
აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი/ ზარმაცი)	6	6	აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი, ზარმაცი)	8	4	აფასებს პერსონაჟის საქციელს(კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი /ზარმაცი	10	2
აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	5	7	აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	7	5	აფასებს მოსმენილს(მომეწონა/არ მომეწონა)	10	2
ადარებს პერსონაჟებს	6	6	ადარებს პერსონაჟებს	7	5	ადარებს პერსონაჟს	9	3
არგუმენტირებული მსჯელობა	3	9	არგუმენტირებული მსჯელობა	6	6	არგუმენტირებული მსჯელობა	8	2
ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	4	8	ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	7	5	ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	9	3

ანკეტირების შედეგები წარმოდგენილი მაქვს დიაგრამების სახით, რაც მეტად თვალსაჩინოა და კარგად აღწერს გამოკითხვის შედეგებს.

ფოკუს ჯგუფში მონაწილე მასწავლებლები გამოკითხვისას თავიანთ პასუხებში იყვნენ დამოუკიდებელნი და თავისუფალნი. მათ ნათლად დააფიქსირეს, რომ მოსწავლეები გამოწვევის ფაზაზე მოტივირებულები, ხოლო მეორე ფაზაზე მთლიანად ჩართულები არიან საგაკვეთილო პროცესში, თუმცა ტექსტის განხილვის შემდეგ, მოსწავლის მცირე ნაწილის მოტივაცია ეცემა, რადგან უჭირთ წაკითხულის გაგება-გააზრება. თუმცა მასწავლებლები იმასაც აღნიშნავენ, რომ მათ მიერ დასმული კითხვების დახმარებით, ისინიც გარკვეულწილად ერთვებიან ტექსტის ან ინფორმაციის განხილვაში. უმეტესობას შეუძლია საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს სათქმელი, ხოლო დავალებაში- მოსმენილი ტექსტის ან ინფორმაციის მიხედვით შეასრულონ ნახატი ან პირიქით , ნახატის მიხედვით ჩაწერონ პატარა ტექსტი, სიხარულით ერთვებიან.

ამ მონაცემების საფუძველზე შევიმუშავე მრავალფეროვანი და საინტერესო ინტერვენციები, რომელიც ეყრდნობოდა ანალიზს.

ძირითადი მიგნებები:

აღწერითი დაკვირვება: ე. ს. გ. -ით გათვალისწინებულ სტანდარტს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩამორჩებოდა მოსწავლეთა ნაწილი. მათ უჭირთ წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება, ვარაუდების გამოთქმა, პერსონაჟთა ხასიათის ამოცნობა / დახასიათება.

ფოკუსირებული დაკვირვება: გამოიკვეთა მოსწავლეთა სუსტი მხარე; რომელ პუნქტში უჭირდათ და რა საჭიროებდა სასწრაფო ჩარევას .

შერჩევითი დაკვირვება: იყო ხანგრძლივი პროცესი, რომელიც რისკ - ჯგუფზე დაკვირვებას ითვალისწინებდა. ,,წინსვლა და წარმატებები მიღწევადია“-ეს ცხადყო დაკვირვების შედეგებმა. ამ პერიოდში ვმუშაობდი როგორც წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების გამომუშავებაზე , ასევე მიღწეული შედეგის შეფასებაზე.

გამოიკვეთა ….

- მასწავლებლის მიერ ნაკლებად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება სასწავლო პროცესში.
- ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილების სიჭარბე

❖ შედარებით დიდ დროს უთმობენ კომპიუტერულ თამაშებს.

❖ მშობლები შედარებით ნაკლებად არიან ჩართული სასწავლო პროცესში

❖ იშვიათად იყენებს ტექსტის გაგება /გააზრებისთვის წამახალისებელ სტრატეგიებს

❖ ტექსტის გაგება -გააზრების დროს ნაკლებად ხდება კოგნიტური სქემების გამოყენება

ინტერვენციები:

1 კოგნიტური სქემებით მუშაობა(,,კოგნიტური სქემების გალერეა" დანართ N6.)

მიზანი: პრობლემის გამოკვეთა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება მათზე მსჯელობის, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება, ვარაუდების გამოთქმა, პრობლემის არსის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან. ამავე დროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და ამ პრობლემის გზების ძიება.

ზოგადი აღწერა: სქემა G-PRIED-ის სასწავლო მეთოდოლოგიური კრებულიდანაა აღებული, კითხვისა და წერის სწავლისათვის დაწყებით საფეხურზე და რომელიც მთლიანად ეხმარება პატარა მკითხველს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმაში, ინფორმაციის დახარისხებაში, პრობლემის დანახვასა და კავშირების დამყარებას. შეძლებს პრობლემის ამოცნობას და ვარაუდების გამოთქმას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას და არსებული საკითხის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებას. ტექსტის სათაურისა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდები, ტექსტში შესაძლო შინაარსის შესახებ. გააკეთა ვარაუდების ჩანაწერი, შეადარა წაკითხული თავის ჩაწერილ ვარაუდებს, რის საფუძველზეც მან გააკეთა დასკვნები და ტექსტი უკეთ გაიაზრა. ამან ხელი შეუწყო მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, მოტივაციის ამაღლებასა და კითხვის პროცესისადმი კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას.(,,ვარაუდების ღრუბელი" ინსტრუქცია იხილეთ ,,კოგნიტური სქემების გალერეა". დანართი N 6—1, 2, 3, 4).

2.მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

მიზანი: მშობელთა ჩართულობით ავამაღლო მოსწავლის წიგნიერების დონე გავაუმჯობესო კითხვის უნარი, ხელი შევუწყო ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, წიგნისადმი ინტერესს, შედეგებისა და მიღწევების ზრდას.

ზოგადი აღწერა: შევქმენი პოზიტიური გარემო ,თემის შესაბამისად მოვიძიე რესურსები, გავანაწილე დავალებები ჯგუფებში, მივეცი მითითებები. გააანალიზეს წარმოდგენილი თემა . მოსწავლეთა მხრიდან ჩართულობა და ინტერესი მაღალი იყო. არსებული თემა მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად დაინახეს უფრო მრავალფეროვანი კუთხით. ამაღლდა ბავშვების ცოდნის დონე, დაინტერესების ხარისხი , მოტივაცია. გაუმჯობესდა კითხვის უნარი, წიგნისადმი ინტერესი. ასევე დაეხმარა მოსწავლეებს, მშობლები დაენახათ სულ სხვა კუთხით.

3.მკითხველთა კლუბი

მიზანი: მოსწავლეებში ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება; საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება , ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

ზოგადი აღწერა: მოსწავლეები კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას გამომეტყველებით, მასწავლებელი ეტაპობრივად, მათი დახმარებით ხსნის ახალ სიტყვებს კონტექსტის მიხედვით, შემდეგ მათზე შევადგინეთ წინადადებები, მოვამზადე კითხვები ტექსტის ირგვლივ მოსწავლეებს გავუნაწილე პერსონაჟთა როლები და გაიმართა როლური თამაში. ბოლოს მოსწავლეებმა დააფიქსირეს რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ და რას შეცვლიდნენ. ამ ინტერვენციით ეჩვევიან საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა-დასაბუთებას, ეცნობიან სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს, რაც დაეხმარებათ მომავალში ტექსტების გაგება-გააზრებაში, უვითარდებათ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება.

4. სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები (ჩანაწერთა გაკეთება, კითხვების დასმის სტრატეგია..)

მიზანი: მრავალფეროვანი სტრატეგიები ხელს შეუწყობს მოსწავლეებმა გაარკვიონ რამდენად კარგად გაიგეს/დაიმახსოვრეს ახალი მასალა ,რაც დაეხმარებათ ტექსტის გაგება გააზრებაში.

ზოგადი აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ჩანაწერთა, მასალის გადამუშავებას, კითხვების დასმის სტრატეგიებს. ,,შეჩერდი ერთი წუთით და საკუთარ თავს დაუსვი შემდეგი კითხვები: რა ვისწავლე? რა გავიგე ტექსტის ნაწილის(კონკრეტული)წაკითხვის შემდეგ? ქაღალდის ფურცელზე ჩამოწერეთ ყველაფერი, რის გახსენებასაც შეძლებთ. ამის შემდეგ ისევ გადაიკითხავენ ტექსტს. გაარკვევენ არის რაიმე რაც, გეგონათ, რომ კარგად გესმოდათ , მაგრამ არც ისე კარგად გცოდნიათ ?ან საერთოდ არ გახსოვდათ ?იქნებ მისი წაკითხვის დროს გონებით სულ სხვაგან იყავით. აღნიშნული სტრატეგია მოსწავლეს უვითარებს კითხვის უნარს, ეჩვევიან კითხვების დასმას ,მსჯელობას, ხელახლა კითხულობენ ტექსტის ნაწილს და სვამენ კითხვებს გაკვეთილზე.

5. გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი ტესტები.

მიზანი: ვთავაზობ მოსწავლეებს სხვადასხვა სახისა და სირთულის ტექსტებს, რომლებიც ამომწურავად და მიზნის შესაბამისად არის დამუშავებული. ტექსტებს ახლავს როგორც წაკითხულის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული კითხვები და დავალებები, ისე წიგნიერებისთვის აუცილებელი სახვადასხვა სააზროვნო უნარების გასააქტიურებელი და განმავითარებელი სავარჯიშოები. ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად შეირჩევა სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები.

ზოგადი აღწერა: მოსწავლეები დაძლევენ წერა-კითხვაში არსებულ პრობლემებს, გაუადვილდებათ წაკითხულის გაგება-გააზრება, მიეჩვევიან ანალიტიკურ აზროვნებას და გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

6. გააზრებული კითხვისთვის „ბარათები შეკითხვებით“ გამოყენება.

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის უკეთ გააზრებისთვის შეკითხვებიანი ბარათების გამოყენება, ამ შეკითხვების მიხედვით ტექსტიდან შესაბამისი ინფორმაციის, სიტყვების, წინადადებების, მოძიება, პასუხების გაცემა და ტექსტის უკეთესად გაგება.

ზოგადი აღწერა: რადგანც უმცროსი სასკოლო ასაკი კარგი პერიოდია გააზრებული კითხვის უნარის განვითარებისთვის, სხვადასხვა მრავალფეროვანი

აქტივობებიდან საჭიროდ მივიჩნიე გამომეყენებინა ბარათები, რომლებზეც მოცემული იქნებოდა შეკითხვები ტექსტიდან, რომლებზე პასუხებიც ტექსტის ზედაპირზე კი არ იქნებოდა მოცემული, არამედ მათ მოფიქრება და წაკითხულის გააზრება დასჭირდებოდა. ეს კი ხელს შეუწყობდა მოსწავლის ყურადღების კონცენტრირებას მოცემული ტექსტის შინაარსზე.

თითოეული მოსწავლე დიდი ინტერესითა და გულმოდგინებით იყო ჩართული აღნიშნულ აქტივობაში. მუშაობდნენ აბსოლუტურად დამოუკიდებლად, საკუთარი შესაძლებლობების იმედად და შედეგიც არაჩვეულებრივი დადეს. აღნიშნულმა აქტივობამ მათ გაუადვილა ტექსტის გაგება-გააზრება, თითოეული შეკითხვის გაანალიზება, ზუსტი პასუხის მოძიება. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ მაღალი სააზროვნო უნარები.

ინტერვენციის შეფასება:

დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები, ჩემი აზრით, ხელს უწყობდა მოტივაციისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას, რომლის თანამდევი პროცესები მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაცია, მაღალი დაინტერესება, სრული ჩართულობა და წაკითხულის გაგება-გააზრების პროცესების გაიოლება იქნებოდა.

სწორედ ამის გამო იყო, რომ ინტერვენციების შესაფასებლად დაკვირვების მეთოდი შევარჩიე. ამ დაკვირვებამ ცხადყო, რომ გამოყენებულმა აქტივობებმა, დამზადებულმა რესურსებმა, მათმა მრავალფეროვნებამ, განმავითარებელმა კომენტარებმა და სწორად შერჩეულმა სტრატეგიებმა, ხელი შეუწყეს მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ხარისხის ამაღლებას კითხვის და წაკითხულის გაგება-გააზრების პროცესში.

ინტერვენცია :1/5. საკუთარი აზრის დაფიქსირება, პრობლემის არსის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან უკეთ, რომ შეძლონ, აუცილებლად მივიჩნიე კოგნიტური სქემების გამოყენება.

ინსტრუმენტი :1. დაგეხმარა სქემა პრობლემის გამოკვეთაში?

ინსტრუმენტი:2.ადვილად შეძელი გადაჭრის გზების მოძებნა?

ინსტრუმენტი:3.რა გარემოებამ შეუქმნა პრობლემა პერსონაჟს?

ინსტრუმენტი:4. პრობლემის მიზეზი ადვილად გამოკვეთე?

ინსტრუმენტი:5.გამართლდა შენი ვარაუდები?

ინსტრუმენტი: 6. დაგეხმარა ილუსტრაცია ნაწარმოების შინაარსის განსაზღვრაში?

ინსტრუმენტი: 7.შენი ვარაუდები როდის უფრო გამართლდა ილუსტრაციაზე დაყრდნობით თუ პირველი გვერდის წაკითხვის შემდეგ?

კოგნიტური სქემების გამოყენებით ადვილად შეძლეს პრობლემის გამოკვეთა, მიზეზის დადგენა და გადაჭრის გზების ძებნა. შეძლეს მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა . ვარაუდების ღრუბელი დაეხმარათ სათაურიდან გამომდინარე გამოეთქვა ვარაუდები, რის შესახებ იქნებოდა ტექსტი. უკეთ მოახერხეს წაკითხული გაგება/გააზრება, პერსონაჟთა დახასიათება, სქემები დაეხმარათ თვითშეფასების უნარის განვითარებაში.

ინტერვენცია: 2.

მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში აუცილებელი პირობაა .აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული შვილის ცხოვრებაში, იგრძნონ მათი გვერდით დგომა. ამისათვის მშობლებსა და შვილებს მივეცი ერთი თემა, მოეხდინათ მართი ერთობლივი დამუშავება. მშობლების დახმარებით მოახერხეს ტექსტის სიღრმისეული წვდომა.

ინსტრუმენტი 1. მოგეწონათ მშობლებთან ერთად ტექსტის კითხვა? რატომ?

ინსტრუმენტი 2. რა შეგძინათ ამ ინტერვენციამ?

გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, წიგნისადმი სიყვარული. მშობლებთან ერთად ადვილად შეძლეს ტექსტის გაგება /გააზრება.

ინტერვენცია : 3

კვლევის მეთოდებმა დამანახა, რომ ტექსტის გააზრების ხელის შემშლელი პირობა მწირი ლექსიკური მარაგია .ამისათვის მოსწავლეთა ინტერესებიდან

გამომდინარე შევიტანე მხატვრული ნაწარმოები, მოხდა ლექსიკური ერთეულების განმარტება.

ინსტრუმენტი :1. ნაწარმოები შერჩეული იყო თქვენი ხასიათიდან გამომდინარე?

ინსტრუმენტი:2. კონტექსტის მიხედვით ადვილად შეძელით ლექსიკური ერთეულების აღქმა?

ინსტრუმენტი: 3. რაში დაგეხმარათ მდიდარი ლექსიკური მარაგი?

ინსტრუმენტი: 4. გაგიადვილდა პერსონაჟის დახასიათება?

ინსტრუმენტი 5: საინტერესო იყო როლური თამაში?

ინსტრუმენტი: 6.რა მოგცათ მკითხველთა კლუბის შექმნა?

ადვილად შეძლეს წაკითხული შინაარსის გადმოცემა, ლექსიკური ერთეულები ახსნეს კონტექსტის მიხედვით.

ინტერვენცია :4. მშობელთა ჩართულობამ და მკითხველთა კლუბის ჩამოყალიბებამ შედარებით გააუმჯობესა კითხვის უნარი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მიზნის მისაღწევად. საჭიროდ ჩავთვალე კითხვის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება. კერძოდ ,,ჩანაწერთა გაკეთება"; ,,კითხვის დასმის სტრატეგის".

ინსტრუმენტი :1. ჩანაწერთა გაკეთება დაგეხმარა ნაწარმოების კონკრეტული ნაწილის გაგებაში?

ინსტრუმენტი:2.როგორ შეაფასებდი საკუთარ თავს ? შენს მიერ გაკეთებული ჩანაწერი შეესაბამებოდა ტექსტში აღწერილს?

ინსტრუმენტი: 3. როგორ მოიქცეოდი მსგავსი სტრატეგიის გამოყენებისას?

ინსტრუმენტი:4. რა შეგძინა ამ დავალებამ?

ამ ინტერვენციამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში მსჯელობის , დაკვირვების უნარის განვითარებას. შეძლეს საკუთარი თავის შეფასება , გაარკვიეს კარგად ქონდა თუ არა ტექსტი გააზრებული , გამართლდა თუ არა მათი ჩანაწერები?

ინტერვენცია: 6. ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველსაყოფად ,რადგან ჯგუფში სხვადასხვა შესაძლებლობის ბავშვები არიან გამოვიყენე ,,ბარათები შეკითხვებით".

ბარათების დარიგებამ ხელი შეუწყო შინაგანი მოტივაციის ,კითხვის უნარის გაუმჯობესებას, პასუხის გასაცემად გადაიკითხეს ტექსტი, მოძებნეს ადექვატური პასუხები ,მუშაობდნენ აბსოლუტურად დამოუკიდებლად ,გაუჩნდათ საკუთარი თავის რწმენა , აანალიზებდნენ თითოეულ შეკითხვას , შედეგიც სასურველი დადეს . შეძლეს მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა.

ამ მიდგომებისა და განხორციელებული აქტივობების დროს, მოსწავლეებს საშუალება ეძლეოდათ, ძირითად არსზე ყოფილიყვნენ კონცენტრირებულნი და მათი ყურადღება მიმეპყრო იმისაკენ, რისთვისაც ესა თუ ის ინტერვენცია ხორციელდებოდა. ყოველივე ეს დადებითად აისახებოდა მათი სწავლის ხარისხზე.

ინტერვენციის განხორციელების შემდგომი შედეგები აშკარად განსხვავდება ინტერვენციებამდე არსებული შედეგებისაგან, რაც საგრძნობია გაკვეთილის სამივე ფაზაზე.

დაკვირვება:

დაკვირვებამ ცხადყო, რომ მოსწავლეები სწავლების პროცესში უფრო გაბედულები და თავდაჯერებულები გახდნენ, უმეტესად ახერხებენ თანამშრომლობით პოზიციაში გადასვლას, უმეტესად არიან პასიური მსმენელები, უკეთ შეუძლიათ სათქმელის გასაგებად გამოხატვა. შედარებით აკავშირებენ ერთმანეთთან ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტულ ინფორმაციასთან შეუძლია წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატონ პირადი დამოკიდებულება, უმეტესად ახერხებენ დასკვნების გაკეთებას ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე/თემებზე. უმეტესად შეუძლიათ დააკავშირონ ერთმანეთთან ტექსტში მოცემული კონკრეტული ინფორმაცია და ილუსტრაცია, უმეტესად აკეთებენ ტექსტის სხვადასხვა ნაწილებიდან დასკვნების გამოტანას, მიზეზ/შედეგობრივი კავშირის დამყარებას ,უმეტესად შეუძლიათ ტექსტის სიღრმისეული წვდომა.

დაკვირვებამ დამანახა, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგება/გააზრება უმეტესად შეეძლოთ, კარგად იყენებენ კოგნიტურ სქემებს .

შუალედური:

ინტერვენციამდე (დანართი N 1)	შეძლო	ვერ შეძლო	შუალედური (დანართი N 2)	შეძლო	ვერ შეძლო
კითხვა-პასუხი	7	5	კითხვა-პასუხი	9	3
აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი/ ზარმაცი)	6	6	აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი, ზარმაცი)	8	4
აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	5	7	აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	7	5
ადარებს პერსონაჟებს	6	6	ადარებს პერსონაჟებს	7	5
არგუმენტირებული მსჯელობა	3	9	არგუმენტირებული მსჯელობა	6	6
ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	4	8	ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	7	5

პოსტესტი

ინტერვენციამდე (დანართი N)1	ვერ შეძლო	შეძლო	შუალედური (დანართიN2)	ვერ შეძლო	შეძლო	ინტერვენციის შემდეგ (დანართი N 3)	ვერ შეძლო	შეძლო
კითხვა /პასუხი	8	4	კითხვა / პასუხი	9	3	კითხვა/ პასუხი	10	2
აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი/ ზარმაცი)	6	6	აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი, ზარმაცი)	8	4	აფასებს პერსონაჟის საქციელს(კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილი /ზარმაცი	10	2
აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	5	7	აფასებს მოსმენილს (მომეწონა/არ მომეწონა)	7	5	აფასებს მოსმენილს(მომეწონა/არ მომეწონა)	10	2
ადარებს პერსონაჟებს	6	6	ადარებს პერსონაჟებს	7	5	ადარებს პერსონაჟს	9	3
არგუმენტირებული მსჯელობა	3	9	არგუმენტირებული მსჯელობა	6	6	არგუმენტირებული მსჯელობა	8	2

ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	4	8	ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	7	5	ტექსტში გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას	9	3

დასკვნა:

კვლევა მიმდინარეობდა 2018/2019 სასწავლო წელს. ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის პირველ კლასში გამოვლინდა წაკითხული ტექსტის გაგება/გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები. გადავწყვიტე დამედგინა გაგება/გააზრების უნარების ნაკლებად ფლობის მიზეზი. მოვახდინე მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვა. შედეგები გავუზიარე კოლეგებს, დავადგინეთ, რომ მშობლების ჩართულობა დაბალი იყო სწავლების პროცესში. ამიტომ პრობლემის გადასაჭრელად გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას. კერძოდ: ,,განვითარებისა და სწავლების თეორიებს -კონსტრუქტივიზმსა და მეტაკოგნიციას"; ირინა სამსონიას ,,წიგნიერებას"; სიმონ ჯანაშიას სტატიას ჟურნალ მასწავლებელში 2009წ N 1";პირლსის კვლევებს; ე. ს. გ. სახელმძღვანელოს ,,სტატიები განათლების საკითხებზე-კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში-ჯონ გ. ქარფასი და სხვა. რადგან უკეთ დამესახა ინტერვენციები. ინტერვენციების განსახორციელებლად გამოვიყენე კვლევის მეთოდთა ორი ჯგუფი თვისობრივი და რაოდენობრივი. თვისობრივი მეთოდმა ნათლად დამანახა, რომ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება, პერსონაჟთა დახასიათება, ვარაუდების გამოთქმა უჭირდათ.

ჩემს მიერ საკუთარ კლასთან ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ ეტაპებს, პრობლემის აღმოჩენა, შესწავლა, მისი გადაჭრა, ცვლილებების დაგეგმვა-განხორციელება და შეფასება გამოვლინდა, რომ წაკითხულის გაგება/გააზრებაში მოსწავლეთა ნაკლები ჩართულობის მიზეზი იყო:

- მრავალფეროვანი აქტივობების ნაკლებად გამოყენება
- ეფექტური რესურსების სიმწირე, კოგნიტური სქემების ნაკლებობით

- მშობელთა ნაკლები ჩართულობა სწავლების პროცესში
- მრავალფეროვანი მიდგომებისა და სტრატეგიების ნაკლებად გამოყენება სასწავლო პროცესში.

აღნიშნული პრობლემის უკეთ გამოვლენისა და გადაჭრის მიზნით, გამოვიყენე კვლევის სხვადასხვა მეთოდი, სიტუაციის გასაუმჯობესებლად მიზნად დავისახე შემერჩია შესაბამისი ინტერვენციები, განმეხორციელებინა ისინი და ამის შემდეგ შემეფასებინა გამოყენებული ინტერვენციების შედეგები.

ინტერვენციების მდგრადობა შევაფასე დადებითად ,ჩატარებული აქტივობების განხორციელების შედეგად გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა ეფექტური და მიზნის მისაღწევად სწორად შერჩეული იყო, რამაც საუკეთესო შედეგზე გამიყვანა. ჩემი მოსაზრებები გავუზიარე კათედრის ჯგუფის წევრებს, მივიღე უკუკავშირი. არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაიცა რეკომენდაციები , რომლის განხორციელების შემთხვევაში მოიმატა მოსწავლე /მშობლის ჩართულობამ და მოტივაციამ. საშუალება მომეცა ვიყო თავისუფალი აქტივობებისა და რესურსების შერჩევის პროცესში, რაც მასწავლებლებს ხდის მოტივირებულს, ზრდის როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიულად. სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება დ/კლასებში დაეხმარება სხვა საგნის მასწავლებლებსაც, რადგან მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართული სასწავლო პროცესში შეძლებენ გარკვეული თემის ირგვლივ მსჯელობას, დასაბუთებას, საკუთარი აზრის გადმოცემას.

რეკომენდაციები:

კვლევის ჯგუფმა, დაწყებით საფეხურზე წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების გასაუმჯობესებლად, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა.

აქციეთ პრიორიტეტად ბავშვის აზროვნების განვითარებაზე ზრუნვა, რათა მოსწავლისთვის მიუღწეველი არ დარჩეს მაღალი სააზროვნო უნარები (ანალიზი, სინთეზი, შეფასება).ამისთვის საჭიროა სასწავლო პროცესი გაამდიდროთ მრავალფეროვანი აქტივობებითა და სტრატეგიებით, სხვადასხვა მიდგომებით, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ცვალეთ შესასრულებელი

დავალებები, რათა მოსწავლე ხალისითა და მონდომებით ჩაერთოს ამ დავალების შესრულებაში, არ დაეზაროს ტექსტის წაკითხვა, არ გაუჭირდეს კითხვებზე პასუხი და შინაარსის გაგება-გააზრება. ასევე მოსაწყენი არ გახდეს სწავლის პროცესი, არ მოდუნდეს და არ დაუვარდეს მოტივაცია.

ამისთვის ჩართეთ მოსწავლეები დისკუსიებში, როლურ თამაშებში, გამოიყენეთ ხშირად ჯგუფური, წყვილში მუშაობის მეთოდები, პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ტესტური დავალებები, მრავალფეროვანი თვალსაჩინოება, კოგნიტური სქემები და მაორგანიზებლები. ამით უფრო სახალისო და საინტერესო გახდება სასწავლო პროცესი.

დავალების მიცემისას გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინტერსები და შესაძლებლობები. სჯობს მათ მისცეთ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა დავალების შესრულებისას. ამისთვის გამოიყენეთ განსხვავებული სირთულის დავალებები, გაითვალისწინეთ დავალების შინაარსი ისე, რომ მოსწავლისთვის სასწავლო პროცესი არ გახდეს მოსაწყენი და დამღლელი, პირიქით მივცეთ სტიმული სასურველი საქმის საკეთებლად.

აღიარეთ მოსწავლეთა, თუნდაც, მცირედი წარმატებაც კი, ეს ყველაფერი აუცილებლად წაახალისებს მათ, ისინი უფრო თავდაჯერებულნი და გაბედულნი იქნებიან. აუცილებლად ითანამშრომლეთ მშობლებთან. დაადგინეთ და გაითვალისწინეთ რა არის მათი შვილების წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზი, როგორც სახლში, ასევე სკოლაში, რადგან ის რაც სახლში იოლად გამოსდის , ის უჭირთ სკოლაში. ჩართეთ მშობლები სხვადასხვა აქტივობებში, რაც მეტ დაინტერესებას და ჩართულობას გამოიწვევს საგაკვეთილო პროცესში.

გავამდიდროთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებითა და სტრატეგიებით. ამისათვის:

1.გამოიყენეთ სხვადასხვა სახის კოგნიტური სქემები, რადგან უკეთ გაიგონ/ გაიაზრო მოსმენილი და წაკითხული ტექსტი.

2.ხშირად დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებული გაკვეთილები, რადგან მოახდინონ საგანთა შორის კავშირი, შედარება/დახასიათება კონკრეტული საგნისა.

3. ხშირად დაიგეგმოს და ჩატარდეს ინოვაციური გაკვეთილები, რადგან უფრო საინტერესო გახდეს სწავლების პროცესი.

4. დაიგეგმოს პროექტები სწავლება ,რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი ,კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

5.სამაგიდო წიგნად გაიხადეთ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მეთოდური სახელმძღვანელო: ,,კითხვისა და წერის ეფექტური მეთოდები“

ასევე რეკომენდაციას ვუწევ G-PRIED - ის სარესურსო წიგნს, რომელიც შეიცავს კითხვისა და წერის სწავლება-სწავლის ინოვაციური (დაბალანსებული, ინტეგრირებული და დიფერენცირებული) მიდგომების შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს, ასევე დიაგნოსტიკურ ტესტებს და რომელიც მთლიანად მორგებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებს, ითვალისწინებს მრავალფეროვან მიდგომებს, რათა მოხდეს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება, სწავლის პროცესით დაინტერესება, წაკითხული ტექსტის აღქმა, გაგება-გააზრება და ამ ტექსტის მიხედვით მიცემული დავალებების ხალისით შესრულება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სჯობს მოახდინოთ ნებისმიერი მეთოდის ადაპტაცია თქვენს კლასთან, გამოავლინოთ საჭიროებები, მოარგოთ ის კლასის მონაცემებს. ასევე გაუზიარეთ თქვენს მიერ შერჩეული და ადაპტირებული მეთოდები კოლეგებს, რათა მოხდეს დაკვირვება აპრობირებულ აქტივობებზე და მათი გათვალისწინება საგაკვეთილო პროცესში, რათა მოსწავლეებისთვის მიწოდებული მასალა იყოს უფრო გასაგები, გაიაზროს და მოახდინოს შემდეგი ნაბიჯების გადადგმა თამამად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1)ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016წ)

2)ბენჯამენ ბლუმი – განათლების მიზნების ტაქსონომია

http://orioniblog.blogspot.com/2011/07/blog-post_8757.html

3)საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრების სწავლება დაწყებით საფეხურზე. http://mastsavlebeli.ge/?p=4193

4).მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. სტატიები განათლების საკითხებზე. ჯონ გ. ქარფასი ,,კოგნიტური პროცესები კრიტიკულ აზროვნებაში“

5) ჟურნალი მასწავლებელი 2009 წელი N 1 ,,რას კითხულობენ მასწავლებლები?“ სიკო ჯანაშია ე ს გ და შეფასების ცენტრის დირექტორი.

6)განვითარებისა და სწავლების თეორია I ნაწილი 2011 წელი. მეტაკოგნიცია“ და ,,პანდორას კითხვების“ მიხედვით(პერკინსი)

7) ინტერნეტ გაზეთი .სტრატეგიები ,წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებისათვის.

8).ინტერნეტ გაზეთი. კვლევა -რა გავლენას ახდენს ტექსტის გაგება -გააზრებაზე ლექსიკური მარაგის სიმწირე“ сентября 11, 2018

9).ინტერნეტ გაზეთი. საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრების სწავლება დაწყებით საფეხურზე. 9 მარტი, 2015 წ. ვერიკო სომხიშვილი

10).გააზრებული კითხვის სწავლება დაწყებით საფეხურზე. 27 აგვისტო,2015წ ნანა ლომიძე.

11). ჟურნალი მასწავლებელი 2018 წ N 3. ნათია ფურცელაძე ,,როცა მოსწავლეები და მასწავლებელი ერთად კითხულობენ .

12) საერთაშორისი კვლევა PIRLS -2006 წ.

13).მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი. სწავლება და შეფასება 2011 წ. ნაწილი II. ,,სწავლების სტრატეგიები“.

რეფლექსია:

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დ/კლასების მასწავლებლის თამარ გიგიაძის მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანია პირველ კლასის(დაწყებითი კლასების) მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების ნაკლებად ფლობის მიზეზების დადგენა. კვლევა მიმდინარეობდა 2018-2019 სასწავლო წლებში. უპირველეს ყოვლისა ვიდრე კვლევის ანგარიშს შევქმნიდი გავეცანი საინტერესო და მრავალფეროვან ლიტერატურას, დაკვირვების ფონზე მოვახდინე პრობლემის იდენტიფიცირება . განვახორციელე კვლევის მეთოდები ,შევიმუშავე და პრაქტიკაში გავატარე ინტერვენციები, შევაფასე ინტერვენციების მდგრადობა, რომლის საფუძველზე შევიმუშავე პრაქტიკული რეკომენდაციები , შევხვდი ჩემს წარმატებულ მასწავლებლებს , ვღებულობდი რჩევებს , ჩემმა

პრაქტიკულმა საქმიანობამ დამანახა ამ საკითხის აქტუალობა ,ამ წლების მანძილზე შავ ლაქად მოსდევს გაგება-გააზრების პრობლემა დაწყებით კლასებში.

კვლევის ფარგლებში მუშაობის დროს სისტემატიურად ვღებულობდი უკუკავშირს კოლეგებისა და დირექციის წევრების მხრიდან .დასასრულს, 2019 წლის 5 ივნისს მოვახდინე კოლეგებთან შეხვედრა, გავუზიარე პრაქტიკული კვლევის ანგარიშის შედეგები პრეზენტაციის სახით. შეხვედრის მიზანი იყო გამეცნო მათვის ჩემი გამოცდილება , რათა მათ დაენერგათ საკუთარ პრაქტიკაში, მოერგოთ მსგავსი პრობლემისათვის ჩემი შემუშავებული სტრატეგიები და რესურსები. პრობლემა აქტუალური იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ სკოლის სხვა მასწავლებლებისთვისაც, რადგან როგორც გავარკვიე მსგავსმა პრობლემებმა მათ პრაქტიკაშიც იჩინა თავი . საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე კვლევის პროცესში ჩემი კოლეგები თავადაც იჩენდნენ ინიციატივას, მიეღოთ ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის შესახებ. კვლევის გაზიარების დროს მივიღე მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია კოლეგებისაგან და ასევე უკუკავშირი .

უკუკავშირი შედგა:

- ✓ *იყო თუ არა აქტუალური თემა?*



- ✓ *შეგძინათ თუ არა პრაქტიკული გამოცდილება კვლევამ? იყო თუ არა თქვენ საჭიროებებს მორგებული?*



➢ *გამოთქვით თქვენი მოსაზრება კვლევასთან დაკავშირებით*

მოსაზრება გამოთქვა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა. ,,გავეცანი დაწყებითი კლასის მასწავლებლის თამარ გიგიაძის კვლევას, თემაზე:1-ლი კლასის მოსწავლეებში წაკითხულის გაგება -გააზრების უნარ-ჩვევების ნაკლებად ფლობის მიზეზების დადგენა. კვლევა ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის. აღნიშნული პრობლემა არ არის მარტო 1-ლი კლასისათვის დამახასიათებელი. იგი გრძელდება მომდევნო კლასებში და, რა თქმა უნდა, მაღალ კლასებშიც. თუ იგი გადაიჭრება დაწყებით კლასებში, ანუ თუ მოსწავლეს გამოუმუშავდება წაკითხულის გაგება -გააზრების უნარი, იგი ასაკის ზრდასთან ერთად უფრო ამაღლდება და, შეიძლება ითქვას, გადაიჭრება ე ს გ მოთხოვნა წიგნიერებასთან დაკავშირებით. მე, პირადად, წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების გასავითარებლად მაღალ კლასებშიც გამოვიყენებ იმ სტრატეგიებსა და აქტივობებს , რომლებიც კვლევაზე მუშაობისას გამოიყენა მასწავლებელმა და გარკვეულ შედეგსაც მიაღწია. აღნიშნული კვლევა მართლაც რომ საინტერესო და მეტად აქტუალური იყო.“

ასევე, საკვლევი თემის აქტუალობა აღნიშნა ბუნების მასწავლებელმა. მან მოიწონა კვლევაში გამოყენებული აქტივობები. ასევე მირჩია, წამოჭრილი საკითხის სრულყოფისათვის კარგი იქნებოდა, თუ საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენებდი საგანთა ინტეგრირებას. კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის და

ბუნებისმეტყველების აღნიშნულ საგანთა ინტეგრირებასთან დაკავშირებით. საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვა შეიძლება აღნიშნულ საგნებში საერთო თემის პოვნაც არ არის რთული. ტექსტის ანალიზისას მოსწავლეებს უჩნდებათ შეკითხვები, როგორც ქართული ლიტერატურიდან ასევე ბუნებისმეტყველებიდან და ამ გზით ხდება ტექსტის მრავალმხრივი განფენა, ასთი გაკვეთილები ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის პროცესით დაინტერესებას, მაღალ მოტივაციაც და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას-აღნიშნა მან.

სკოლის ფასილიტატორის აზრით ,,კვლევა საგრძნობლად აამაღლებს სწავლების ხარისხს. კვლევა აღნიშნულ თემაზე ნამდვილად დროულია, რადგან გააზრებული კითხვის უნარს საფუძველი დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხულის, მოსმენილის, ნანახის გააზრება , ეს ხელს უწყობს მას არა მარტო ცოდნის მიღებაში, არამედ კომუნიკაციის პრეზენტაციისა თუ თანამშრომლობითი უნარების გამომუშავებაში. აღნიშნულის გადაჭრაში კი მასწავლებელს ადეკვატურად შერჩეული მეთოდები და მიდგომები ეხმარება. აღნიშნული კვლევა საინტერესო და მისაღებ მეთოდებსა და აქტივობებს გვთავაზობს მოსწავლეთა გაგება -გააზრების დონის ასამაღლებლად.“

მან ასევე გამიზიარა თავისი გამოცდილება. აღნიშნა, რომ მოსწავლეთა წიგნიერების დონის ასამაღლებლად პრაქტიკაში დანერგილი აქვს მოსწავლეთა ურთიერთსწავლების მეთოდი და ხმამაღალი ფიქრის ტექნიკა და შედეგით კმაყოფილია.

ამრიგად ,უკუკავშირი ჩემთვის მეტად საინტერესო და ეფექტური გამოდგა. დამაფიქრა იმაზე, რომ კიდევ რამდენი მრავალფეროვანი აქტივობების მოფიქრება შეიძლებოდა ამ კუთხით. ამან კიდევ ,ერთხელ დამარწმუნა , რომ ჩემს საკვლევ თემაზე მუშაობა აუცილებელი, ხოლო მეთოდების ძიების გზები კი ამოუწურავი არის.

მოსაზრებების გამოთქმა დისკუსიაში გადაიზარდა. დარწმუნებული ვარ, რომ კოლეგების მოსაზრებებისა და რჩევების გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგვა დამეხმარება კვლევაში დასმული პრობლემის გადაჭრაში. გულახდილი საუბრისთვის მადლობას ვუხდი შეკრებილ პედაგოგებს.

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასის უფროსი მასწავლებელი თამარ გიგიაძე

დანართები:

კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები:

სადიაგნოსტიკო ტესტები:

დანართი N1

ინტერვენციამდე

,,მუქთამჭამელა „- იაკობ გოგებაშვილის მიხედვით

,, იყო ერთი მუქთამჭამელა და ზარმაცი ბიჭი. ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული . იფიქრა, მოდი ჩოხას გავიხდი, პიჯაკს ჩავიცვამ და პატივი დამედებაო, ასეც მოიქცა, მაგრამ უარესი დაემართა . ყველამ უფრო აიგდო მასხრად . მეზობელმა უთხრა : ბიჭო, ტანისამოს კი ნუ იცვლი ხასიათი გამოიცვალე , გაისარჯე და პატივი დაგედებაო.“ ანდაზა: ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო.

- როგორ ექცეოდნენ მუქთა მჭამელას?
- რატომ იგდებდნენ აბუჩად?
- რა გადაწყვიტა ბიჭმა? რატომ?
- რა დაემართა ბიჭს გადაწყვეტილების შესრულების შემდეგ?
- როდის გახდებოდა პატივის ღირსი ბიჭი?
- ეთანხმებით მეზობლის რჩევას? რატომ? თქვენ რას ურჩევდით ასეთ ბიჭს?
- როგორ ფიქრობთ ,როგორ მოიქცეოდა ამის შემდეგ ბიჭი?
- როგორ დაახასიათებთ ბიჭს?
- რა არის ადამიანში მთავარი : გარეგნობა თუ ხასიათი?
- ცვლის თუ არა ჩაცმულობა ადამიანს? მოიტანე არგუმენტები ტექსტიდან

დანართი N 2

შუალედური:

,, ლომი და ხარები“ -იაკობ გოგებაშვილის მიხედვით.

,, ლომი ორ ხარს თავს დაესხა, მაგრამ ხარები მეგობრულად შეერთდნენ , რქენა დაუწყეს და მოიგერიეს.

მაშინ ლომმა ხერხს მიმართა და ერთ ხარ უთხრა:

-თუ მეგობარს მოშორდები , შენ არაფერს გავნებო.

ხარმა დაუჯერა და მეგობარს მოშორდა , ამით ისარგებლა ლომმა -ჯერ ერთი ხარი დაგლიჯა , მერე -მეორე.

- რა დაესხა ხარებს თავს?
- აღწერე როგორ მოახერხეს ხარებმა პირველად ლომის მოგერიება, რამ გადაარჩინა მაშინ ხარები?
- რამ დაღუპა ხარები?
- როგორ ფიქრობთ შეეძლოთ თუ არა ხარებს თავის გადარჩენა?
- ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ როგორები იყვნენ ხარები? ლომი?
- რის თქმა სურს ამ ნაწარმოების მწერალს?
- რომელი ანდაზა გაგახსენდათ?
- გიღალატიათ თქვენი მეგობრისთვის ?

დანართი N3

ინტერვენციის შემდეგ:

,, უსუნო ყვავილი“- იაკობ გოგებაშვილის მიხედით

,,მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი . ყმაწვილს ძალიან მოეწონა, მოგლიჯა და თავს ვარდის კონაში ჩაარჭო. პატარა ხნის უკან ისევ ამოაძრო კონიდან, უსუნა და იგრძნო , რომ იმ უბრალო ყვავილს ვარდის საამური სუნი მისცემოდა. ყმაწვილი დაფიქრდა და თქვა :- ჰო , ახლა კი მივხვდი , რატომ მირჩევს დედაჩემი კარგ ამხანაგებში ყოფნასო.“(,,ხარი ხართა რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო.)

- სად ჩაარჭო ყმაწვილმა უსუნო ყვავილი ?
- რა მიეცა უსუნო ყვავილს? რატომ?
- როგორ ადამიანს შეედრება უსუნო ყვავილი?(რომელიც შესახედავად კარგია ,მაგრამ კარგი თვისებებით არ ხასიათდება)
- როდის მიეცა სუნი ყვავილს?
- ვისი სიტყვები გაახსენდა ყმაწვილს?
- ეთანხმებით დედის დარიგებას? რატომ?
- როგორი თვისებების ყოფილა ყმაწვილი?

- რა თვისებები უნდა ახასიათებდეს კარგ ამხანაგს?
- რა უნდოდა ამ მოთხრობით ეთქვა ავტორს?
- თქვენ როგორი ადამიანი მიგაჩნია კარგ მეგობრად?
- ხართ თუ არა თქვენ კარგი მეგობარი?

დანართი 4: მოსწავლეზე ინდივიდუალური დაკვირვება

ფორმა.1.

- ქართ. I. 7.მოსწავლემ უნდა შეუძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და გაგება-გააზრება. ტექსტში ვერბალური და არა ვერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის ურთიერთდაკავშირება.
- ქართ. I.9 მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა;
- მოსწავლე: (სახელი და გვარი) .....

1 - ვერ ასრულებს დამოუკიდებლად; 2 - მასწავლებლის დახმარებით შეუძლია

თვე, რიცხვი	№	მოსწავლის სახელი და გვარი	ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, სად, როდის..)	წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატავს პირად გამოცდილებასთან	აფასებს პერსონაჟებს საქციელს (კარგად/ ცუდად მოიქცა; კეთილია ,ზარმაცია..)	ვერბალური და არავერბალური ტექსტებით გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას(მე როგორ მოვიქცეოდი..)	გამოაქვს დასკვნა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე/თემებზე (სიზარმაცე ცუდია, უნდა იყო მეგობრული)	ქმნის ტექსტის ცალკეული ეპიზოდის/ეპიზოდების ილუსტრაციებს, ასათაურებს და გადმოსცემს მათ შინაარსს.	ჯამური ქულა

შეასრულოს; 3 - მაღალ დონეზე ასრულებს

ფორმა 2

ქართ .I 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება/გააზრება და გადმოცემა. ქართ. I. 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფული კითხვა

თვე, რიცხვი	№	მოსწავლის სახელი და გვარი	თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს	ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს სიტყვებად.	აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან	ხმამაღლა კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს.	ამოიცნობს მოსმენილი მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობას (მხიარული, მოწყენილი და ა. შ)	ამოიცნობს ფაქტების/მოქმედებების თანმიმდევრობას ტექსტში	ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანმიმდევრობის მიხედვით	ჯამური ქულა

დანართი 5:

კითხვები მოსწავლეთა გამოკითხვისათვის:

- რას უთმობ დიდ დროს?

  *კომპიუტერულ თამაშებს *წიგნის კითხვას

- ვინ გეხმარება კლასგარეშე ლიტერატურის შერჩევაში?

  *მასწავლებელი *მშობელი * საკუთარი გადაწყვეტილებით

- განიჭებს თუ არა კითხვა სიამოვნება?

  *დიახ * არა

- ყოველთვის იგებ წაკითხულის შინაარს?

  *დიახ * არა * ხანდახან

- ვის უზიარებ წაკითხულის შინაარს?

  *თანაკლასელებს * მშობლებს *არავის *ყველა ვინც მომისმენს

- როგორი ტიპის ტექსტებს იგებ უფრო?

  *ზღაპრებსა და იგავებს *მხატვრულ ლიტერატურას

  *შემეცნებით და საინფორმაციო ლიტერატურას

- მიგიბაძავს საყვარელი პერსონაჟისათვის?

  *დიახ *არა

კითხვები მშობელთა გამოკითხვისათვის:

მოგესალმებით. ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას -რატომ უჭირთ დ/საფეხურზე მოსწავლეებს წაკითხულის გაგება/ გააზრება. თქვენ ,როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის წარმატებისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, არაა საჭირო კითხვაზე სახელისა და გვარის მიწერა.

- ახერხებთ თუ არა ბავშვის ყურადღების გამოწვევას კითხვის დაწყების წინ?

  *დიახ ვახერხებ * ვერ ვახერხებ

- რას უთმობს მეტ დროს ბავშვი?

  *კომპიუტერულ თამაშებს *წიგნის კითხვას

- საჭიროებს თუ არა თქვენი შვილი წაკითხულის გაგება/გააზრებისთვის დახმარებას?

  * დიახ * არა

- იმისათვის რომ ბავშვი კითხვით დაინტერესო შეგითავაზებია თუ არა კომპიუტერში მოძიებული პატარა მოთხრობა ეკრანზე წაეკითხა?

  *დიახ *არა

- მსჯელობთ თუ არა წაკითხულის ირგვლივ შვილთან ერთად?

  *დიახ *არა

- კითხულობთ თ არა შვილთან ერთად კლასგარეშე ლიტერატურას?

  *დიახ *არა

- როგორი ლიტერატურის შემდეგ ითხოვს ბავშვი დახმარებას, წაკითხულის გასააზრებლად?

  * ზღაპრებსა და იგავების დროს *მხატვრული ლიტერატურის

  *შემეცნებითი და საინფორმაციო მოთხრობები

კითხვები მასწავლებელთა გამოკითხვისათვის:

1)გაკვეთილის რომელ ეტაპზე არიან მოსწავლეები განსაკუთრებით მობილიზებულები და ყურადღებიანები?

2).ყოველთვის იგებენ თუ არა თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას?

3) თქვენი დაკვირვებით, როდის უფრო ადვილად იგებენ თქვენს მიერ მიწოდებულ მასალას, როცა კითხვებს უსვამთ ტექსტის ირგვლივ თუ როცა აკითხებთ ამ ტექსტს?

4) შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ სათქმელი?

5).შეუძლიათ თუ არა გადაცემული ტექსტის ან ინფორმაციის მიხედვით დახატონ შესაბამისი ნახატი ან, პირიქით ნახატის მიხედვით გადმოსცენ ინფორმაცია ან შექმნან მცირე ზომის შესაბამისი ტექსტი?

დანართი 6

კოგნიტური სქემების გალერეა:

დანართი 1



დანართი: 2


პერსონაჟი
გარემოებები
პრობლემა
მოვლენები
პრობლემის გადაწყვეტა

დანართი 3



დანართი: 4

ვარაუდების ღრუბლები:

ინსტრუქცია:

1) წაიკითხე სათაური და პირველი გვერდი; გადაათვალიერე ილუსტრაციები.
2) ჩაწერე ღრუბლებში მინიშნებები.
3) ღრუბლებში ჩაწერილ მინიშნებებზე.
4) ივარაუდე რის შესახებ იქნება ტექსტი.

ტექსტის სათაური: _____

მინიშნებები პირველ გვერდზე *მინიშნებები სურათებზე*



სადიაგნოსტიკო ტესტები :

დანართი N 7

სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

#	მასწავლებელი ამბობს	შენიშვნა
1	ი ყ ო	
2	მ ი წ ა	
3	ნ ა მ ი	
4	ნ ა ბ ი ჯ ი	
5	ნ ა ყ ი ნ ი	
6	მ ა წ ო ნ ი	
7	ა ნ ძ ა	
8	თ ო ვ ლ ი	
9	ნ ე ს ვ ი	
10	ს ა ხ ლ ი	
11	ნ ა ძ ვ ი	
12	მ ზ ე	
13	ხ ტ ი ს	
14	ზ ვ ი ნ ი	
15	ს წ ა ვ ლ ა	
16	კ ე დ ე ლ ი	
17	ფ ი ნ ჯ ა ნ ი	
18	დ უ ღ ს	
19	გ ა ს ა ღ ე ბ ი	
20	მ ო თ ხ რ ო ბ ა	

ჯამური ქულა: _____ 104-დან

ასო-ბგერების ცნობის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

ე	ბ	ო	შ	ს	5
რ	ღ	გ	წ	ნ	10
ჯ	ფ	ვ	მ	ც	15
ა	პ	კ	დ	ტ	20
ჟ	ც	ს	ფ	თ	25
ო	ჩ	ლ	ღ	ჯ	30
ძ	მ	ჭ	ჟ	უ	35
წ	შ	ჩ	ც	ს	40
ნ	თ	ჰ	ყ	ქ	45
ჭ	ჩ	ყ	უ	შ	50
ზ	ხ	დ	ღ	ი	55
ქ	ე	რ	ლ	ც	60
ზ	ძ	ხ	კ	ვ	65

ჯამური ქულა: _____ 65-დან

ასო-ბგერების ცნობის ტესტი

მოსწავლის ფურცელი

ე	ბ	ო	შ	ს
რ	ღ	გ	წ	ნ
ჯ	ფ	ვ	მ	ც
ა	პ	კ	დ	ტ
ჟ	ც	ს	ფ	თ
ო	ჩ	ლ	ღ	ჯ
ძ	მ	ჭ	ჟ	უ
წ	შ	ჩ	ც	ს
ნ	თ	ჰ	ყ	ქ
ჭ	ჩ	ყ	უ	შ
ზ	ხ	დ	ღ	ი
ქ	ე	რ	ლ	ც
ზ	ძ	ხ	კ	ვ

სიტყვების წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

ბუ	დრო	სოკო	ჭერი	ოფოფი	5
ძმა	იხვი	კალია	ჰქვია	ყვავი	10
ჭია	ტაში	მთელი	ბევრი	წამალი	15
იცის	ჯემი	ახალი	ასაკი	ბალახი	20
კუჭი	ცომი	ერბო	უკრავს	ხოხობი	25
წელი	ჰავა	ღიმილი	ექიმი	მთვარე	30
ძაფი	საქმე	ცხრა	სძინავს	ნოტები	35
ქუჩა	მჟავე	ნაძვი	ისკუპა	შუბლი	40
ჩიტი	წყალი	პატარა	ქალაქი	ადგილი	45
ცხელი	ექვსი	ჭკვიანი	ცხელი	წაბლი	50
ცოტა	ოჯახი	სარკე	ლექსი	ცხოველი	55
ბილეთი	კოცონი	ჭერამი	ხალხი	წვეტიანი	60

ჯამური ქულა: _____ 60-დან

სიტყვების წაკითხვის ტესტი

მოსწავლის ფურცელი

ბუ	დრო	სოკო	ჭერი	ოფოფი
ძმა	იხვი	კალია	ჰქვია	ყვავი
ჭია	ტაში	მთელი	ბევრი	წამალი
იცის	ჯემი	ახალი	ასაკი	ბალახი
კუჭი	ცომი	ერბო	უკრავს	ხოხობი
წელი	ჰავა	ღიმილი	ექიმი	მთვარე
ძაფი	საქმე	ცხრა	სძინავს	ნოტები
ქუჩა	მჟავე	ნაძვი	ისკუპა	შუბლი
ჩიტი	წყალი	პატარა	ქალაქი	ადგილი
ცხელი	ექვსი	ჭკვიანი	ცხელი	წაბლი
ცოტა	ოჯახი	სარკე	ლექსი	ცხოველი
ბილეთი	კოცონი	ჭერამი	ხალხი	წვეტიანი

ღამურა

ღამეა, უცებ ოთახში ღამურა შემოფრინდა. ლელას ძალიან შეეშინდა და ტირილი დაიწყო.

_ნუ გეშინია , ეს ღამურაა! __უთხრა პატარას დედამ.

__მან ფანჯარა გამოაღო და გარეთ გაუშვა.

- *წაიკითხეთ წინადადებები და ტექსტის შინაარსის მიხედვით მიუწერეთ __ ტყუილია თუ მართალი.*

- ღამურა ღამე შემოფრინდა. _____
- ღამურამ ფანჯარა გატეხა. _____
- დედამ ფანჯარა გამოაღო. _____
- ღამურამ დაიძინა. _____

- *ჩასვით გამოტოვებული სიტყვები.*

- ოთახში ------ შემოფრინდა.
- ეს ღამურაა! _ უთხრა პატარას -------.
- ღამურა -------- გაუშვა.